პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 211 (5312) | ოთხშაბათი, 14 სექტემბერი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთშია!

უკეთესად ვიმუშაოთ პარტწევრობის კანდიდატებთან და თანამგრძნობებთან (მოწინავე)
საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია. მოკლე კურსი. (მე-2, მე-3, მე-4 გვ.)
საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლის შესახებ (1-ლი გვ.)
საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შესწავლის შესახებ. (1-ლი გვ.)

უცხოეთში:
ინგლისი და ჩეხოსლოვაკიაში შექმნილი მდგომარეობა (ფელეტონი. მე-4 გვ.)
ერთა ლიგის პლენუმის გახსნა (1-ლი გვ.)
ჰენლაინელთა პუტჩი ჩეხოსლოვაკიაში (1-ლი გვ.)
მდგომარეობა ჩეხოსლოვაკიაში (მე-4 გვ.)
ინგლისის პრესა ინგლისის მთავრობის პოზიციის შესახებ (მე-4 გვ.)
ესპანეთის ფრონტებზე (მე-4 გვ.)

უკეთესად ვიმუშაოთ პარტწევრობის კანდიდატებთან და თანამგრძნობებთან

საქართველოს ბოლშევიკთა XI ყრილობამ აღნიშნა თვალსაჩინო მიღწევები პარტიის რიგების ზრდის საქმეში და ამავე დროს პარტორგანიზაციების ყურადღება გაამახვილა ამ საქმეში ჯერ კიდევ არსებულ მრავალ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისაკენ. ამხანაგმა ლ. ბერიამ თავის მოხსენებაში ყრილობაზე პარტორგანიზაციების ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ „ჩვენს პარტიაში ჯერ კიდევ არის პარტიის წევრობის კანდიდატთა მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომელნიც თავის საკანდიდატო სტაჟს ითვლიან 5-დან 10 წლამდე“.

ყრილობის შემდეგ პირველადმა პარტორგანიზაციებმა, რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს პარტკანდიდატთა შორის, უფრო აქტიურად ჩააბეს პარტიის წევრობის კანდიდატები პარტიულ საქმიანობაში, მოეწყო თათბირები პარტკანდიდატთა შორის მუშაობის გასაუმჯობესებლად, ჩატარდა თეორიული კონფერენციები პარტკანდიდატთა და თანამგრძნობთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის უკეთესად დაყენების მიზნით და სხვ.

ყოველივე ამის შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდა პარტკანდიდატთა და თანამგრძნობთა შორის მუშაობა, მთელმა რიგმა პირველადმა პარტორგანიზაციებმა მოამზადეს და პარტწევრებად გადაიყვანეს სტაჟგადაცილებული პარტკანდიდატები, აქტიურად ჩააბეს პარტკანდიდატები და თანამგრძნობნი ყოველდღიურ პარტიულ მუშაობაში. მაგრამ ამ საქმეში დღემდე მოპოვებული მიღწევები ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაგვაკმაყოფილებს. ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-მა თავის ა.-წ. 14 ივლისის დადგენილებაში აღნიშნა, რომ „მრავალ პარტორგანიზაციაში პარტიის კანდიდატებთან მუშაობა არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული—მათ საკმაოდ არ იზიდავენ პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად, ნამდვილად არ ხელმძღვანელობენ მათს პარტიულ-პოლიტიკურ აღზრდას. სრულიად არასაკმაო ყურადღება ექცევა აგრეთვე კანდიდატობიდან პარტიის წევრებად გადაყვანის საკითხს“.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ეს მითითება სავსებით შეეხება ჩვენს პარტორგანიზაციებსაც. ჩვენში ცოტა როდია ისეთი პირველადი პარტორგანიზაცია და რაიკომი, რომელნიც მთელი თვეობით აჭიანურებენ განცხადებების განხილვას, არ ზრუნავენ კანდიდატთა პარტიის წევრებად გადაყვანისათვის, არ ეხმარებიან მათ საჭირო დოკუმენტების შესაფერისად გაფორმებაში.

მაგალითად, ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის (ქობულეთის რაიონი) პირველადს პარტორგანიზაციაში 3 თვეა განუხილველად დევს განცხადება ამხ. ი. ქლენტისა, რომელიც პარტკანდიდატია 1932 წლიდან და ახლა თხოულობს პარტწევრად გადაყვანას. საქმინსახკომის პირველადს პარტორგანიზაციაში (პარტკომის მდივანი—ბ. ჩოხია) პარტიის წევრობის 5 კანდიდატი 6-7 წლის განმავლობაში ითვლება პარტკანდიდატებად, მაგრამ პარტკომი ჯერ კიდევ ნაკლებად ზრუნავს პარტიის წევრებად მათი გადაყვანისათვის. ასეთივე მდგომარეობაა საქ. განსახკომის პირველადს პარტორგანიზაციაში, სადაც პარტწევრობის 5 კანდიდატს კარგა ხანია გაუვიდა საკანდიდატო სტაჟი.

ზოგიერთი რაიკომიც ნაკლებ ყურადღებას აქცევს საკანდიდატო სტაჟგადაცილებულ პარტკანდიდატთა პარტწევრებად გადაყვანის საკითხს. პარტიის წევრობის ისეთი კანდიდატები, რომელთაც 5-6 წელია გაუთავდათ საკანდიდატო სტაჟი, ხულოს რაიონში ითვლება 31 კაცი, ხოლო ზესტაფონის რაიონში 70-მდე.

ლენინის სახელობის ქარხანა-მაღაროს პარტორგანიზაციაში (ჭიათურის რაიონი) 10 პარტკანდიდატს უკვე 7-8 წლის წინათ შეუსრულდა საკანდიდატო სტაჟი, მაგრამ ზოგი მათგანი ახლაც არ არის მომზადებული პარტწევრად გადაყვანისათვის, ზოგიერთი პარტრაიკომი (ხულო, ზესტაფონი) ენერგიულად აკრიტიკებს პირველადი პარტორგანიზაციების ნაკლოვანებებს ამ საქმეში. ახლა საჭიროა, რომ მათ ასევე ენერგიულად გაუწიონ კონკრეტული დახმარება პირველადს პარტორგანიზაციებს ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში.

საკ. კ. პ. (ბ) თანამგრძნობნი პარტორგანიზაციათა ზრდის უაღრესად მნიშვნელოვან რეზერვს წარმოადგენენ. ჩვენი სამშობლოს წარჩინებული შვილები, სოციალისტურ საწარმოებისა და საკოლმეურნეო მინდვრების მოწინავე ადამიანები, მეცნიერებისა და კულტურის ფრონტის გამოჩენილი მუშაკნი ისწრაფვიან ორგანიზაციულად განამტკიცონ თავიანთი იდეური და სულიერი სიახლოვე ბოლშევიკებთან. ისინი თანამგრძნობთა ჯგუფებში ზრდიან თავიანთი იდეური დონის ასამაღლებლად და პარტიული მუშაობის ბოლშევიკური ჩვევების მისაღებად, რათა უფრო მომზადებული შევიდნენ ლენინ-სტალინის სახელოვანი პარტიის რიგებში. პარტორგანიზაციათა უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანაა ბოლშევიკურად უხელმძღვანელონ თანამგრძნობთა ჯგუფების მუშაობას, ჩააბან ამ ჯგუფებში მოწინავე ადამიანები, აღზარდონ და მოამზადონ ისინი პარტიის რიგებში მისაღებად.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი პარტორგანიზაცია ჯერ კიდევ ვერ აქცევს ამ საქმეს ჯეროვან ყურადღებას, თანამგრძნობთა ჯგუფების მუშაობა ზოგან ჩაშლილია, თანამგრძნობები კი მიტოვებული არიან საკუთარი თავის ანაბარა. მაგალითად, არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ თანამგრძნობებთან თბილისის ტრამვაის და ტროლეიბუსების პარკის, რუსთაველის თეატრთან არსებული და სხვა პირველადი პარტორგანიზაციები. ტრამვაის პარტკომს ზოგიერთი თანამგრძნობისათვის ჯერაც არ მიუცია პარტიული დავალება, ხოლო სხვებს დავალებული აქვთ პროფკავშირის და სხვადასხვა ნებაყოფლობითი ორგანიზაციების საწევრო ანარიცხების შეგროვება. ასეთი „დავალებებით“, რასაკვირველია, ვერ მოვამზადებთ თანამგრძნობებს პარტიის რიგებში მისაღებად.

პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა სისტემატური, გულმოდგინე მუშაობა უნდა აწარმოონ პარტიის თანამგრძნობებთან, გააცნონ მათ პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის გამოცდილება, აქტიურად მიიზიდონ ისინი პარტიულ მუშაობაში სერიოზულ პარტიულ დავალებათა მიცემით და ამ დავალებათა შესრულების სისტემატური შემოწმებით, ჩააბან ისინი პარტგანათლების ქსელში და აღზარდონ ბოლშევიკური პარტიის გმირული ბრძოლების სახელოვან ტრადიციებზე. ამ საქმეში მათ უაღრესად დიდ და დაუფასებელ დახმარებას გაუწევს პარტიის ისტორიის ახალი სახელმძღვანელო, საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, რომელიც რედაქტირებულია საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კომისიის მიერ. ეს სახელმძღვანელო წარმოადგენს დაუფასებელ განძს ბოლშევიზმის დაუფლების საქმეში. იგი ღრმა-მეცნიერულად და იმავე დროს სადა და მკაფიო ფორმით გადმოგვცემს პარტიის სახელოვან ისტორიას. იგი „კლასიკური სტალინური სიღრმით, მკაფიობითა და სიცხადით ამჟღავნებს იმ ახალს, რაც ლენინის გენიამ შეიტანა მარქსიზმის საგანძურში“ („პრავდა“). ეს სახელმძღვანელო თვითეული პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკის სისტემატურად სამეცადინო უნდა გახდეს.

საქართველოს ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა გარდაქმნას მუშაობა პარტიის წევრობის კანდიდატებთან, უზრუნველჰყოს სტაჟგადაცილებულ პარტკანდიდატთა გადაყვანა პარტიის წევრებად და გადაჭრით გააუმჯობესონ მუშაობა თანამგრძნობებთან.

ყინულმჭრელ „ი. სტალინის“ რეისი

ყინულმჭრელ „ი. სტალინის“ გემბანი, 11 სექტემბერი (ელვა ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან). 9 სექტემბერს საღამოს 6 საათზე ყინულმჭრელმა „ი. სტალინმა“ ღუზა ჩაუშვა კუნძულ ვორდროპერთან კარის ზღვაში და დაუწყო ცდა ყინულმჭრელ გემს „სადკოს“. მალე მოგვიახლოვდა „სადკო“, რომელმაც ჩვენი ყინულმჭრელიდან მიიღო შემდგომი მგზავრობისათვის საჭირო სურსათი და აგრეთვე ხალხი.

დამთავრდა თუ არა სურსათის გადატვირთვა და ხალხის გადაყვანა „სადკოზე“, ყინულმჭრელმა „ი. სტალინმა“ აიღო ღუზა და გასწია ვილკიცკის სრუტისკენ.

ეჟ. გ. თვალაძე.

ნავთის შადრევანი ნორიოში

გუშინ დღის 3 საათზე სოფ. ნორიოში (თბილისის რაიონი), სადაც სწარმოებს საძიებელი ბურღვა, კრელიუსის 282 მეტრის სიღრმის ჭაბურღილიდან ამოხეთქა ნავთის შადრევანმა.

გუშინდელი დღის განმავლობაში ჭაბურღილიდან ამოვიდა 100 ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი ნავთი. შადრევანი განაგრძობს მოქმედებას.

რთველი დაიწყო

12 სექტემბრიდან დაიწყო რთველი გურჯაანის რაიონში.

კოლმეურნეობები და ერთპიროვნული მეურნეები დიდი ენტუზიაზმით აბარებენ სახელმწიფოს მაღალხარისხოვან ყურძენს.

რთველის დაწყების პირველ დღესვე ექვსასი ცენტნერი ყურძენი მიიღეს დამამზადებელმა პუნქტებმა, რომლებიც რთველს ყოველმხრივად მომზადებულნი შეხვდნენ.

მოსკოვის ქარხანა „სერპ ი მოლოტის“ სატკეცი საამქროს მუშები კითხულობენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს“
„სოიუზფოტო“

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლის შესახებ

საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის 1938 წლის II სექტემბრის პლენუმის დადგენილება

გამოშვება „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსისა“, რომელიც დამუშავებულია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის კომისიის მიერ ამხანაგი სტალინის უახლოესი პირადი მონაწილეობით, უდიდეს მოვლენას წარმოადგენს ჩვენი პარტიისა და მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის იდეურ ცხოვრებაში. „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს“, რომელიც ლენინ-სტალინის დიადი პარტიის მეცნიერულ ისტორიას წარმოადგენს, უდიდეს თეორიულ სიმაღლეზე აჰყავს პარტიის ისტორიის შესწავლის საქმე.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლა ხელს შეუწყობს კომუნისტების, კომკავშირელებისა და ყველა მშრომელების რევოლუციური სიფხიზლის, იდეური დონისა და ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას, კიდევ უფრო მჭიდროდ შეაკავშირებს მათ ლენინიზმის დროშისა და ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა ხალხის ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგი სტალინის გარშემო.

სთვლის რა, რომ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის სერიოზული და ღრმა შესწავლა უნდა იყოს საფუძველი პარტიის წევრებისა და კანდიდატების, კომკავშირელების, თანამგრძნობთა და მთელი საბჭოთა ხალხის ლენინურ-სტალინური იდეური შეიარაღებისა, საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პლენუმი ადგენს:

1. პარტიის ყველა წევრისა და წევრობის კანდიდატის და პირველ ყოვლისა პარტიული აქტივისა და პარტიულ ხელმძღვანელთა კადრების წინაშე დაისვას, როგორც მთელი მათი პარტიული საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ამოცანა — საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ საფუძველზე.

თვითეული კომუნისტი უნდა გაიმსჭვალოს იმ შეგნებით, რომ ლენინურ-სტალინური პარტიის ისტორიის შეთვისება, ბოლშევიზმის დაუფლება წარმოადგენს მის პარტიულ მოვალეობას და ვალდებულებას ხალხის წინაშე, ვინაიდან უამისოდ კომუნისტები ვერ შესძლებენ წარმატებით განახორციელონ მასების ორგანიზატორებისა და ხელმძღვანელების საპატიო და პასუხსაგები როლი კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში.

პლენუმი ავალებს ყველა პარტიულ ორგანიზაციასა და მათ ხელმძღვანელებს ფართო და ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ საკ. კ. პ. (ბ) წევრებსა და წევრობის კანდიდატებს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლის საქმეში.

2. პარტიული განათლების მთელი ქსელის მუშაობას საფუძვლად დაედოს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ მიხედვით.

გაიშალოს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრეებისა და კურსების ქსელი და თვითეული კომუნისტისა და თანამგრძნობისათვის საქმით უზრუნველყოფილ იქნას საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის სერიოზული შესწავლის შესაძლებლობა. ამასთან ერთად ფართოდ იქნას შემოღებული ლექციების მოწყობა პარტიული აქტივისა, საკ. კ. პ. (ბ) წევრთა, წევრობის კანდიდატთა და თანამგრძნობთათვის.

3. პლენუმი განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნავს თვითეული პარტიული ხელმძღვანელისა და მთელი პარტიული აქტივის მიერ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის ღრმად შესწავლის განსაკუთრებულ მნიშვნელობას და ავალებს საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის ბიუროს და რაიკომებს—საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესასწავლად მოაწყონ მეცადინეობა ყველა მდივნისა და პარტკომების წევრთათვის, აგრეთვე პირველადი პარტიული ორგანიზაციების პარტორგებისა, რაიკომების მდივნებისა და პარტიული აპარატის მუშაკებისათვის.

პლენუმი სთვლის, რომ პარტიულმა ხელმძღვანელებმა—საკ. კ. პ. (ბ) საქალაქო კომიტეტის, რაიკომებისა და პარტკომების მდივნებმა არა მარტო უნდა მოაწყონ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლა პარტიული აქტივისა და საკ. კ. პ. (ბ) ყველა წევრის მიერ, არამედ ხელმძღვანელობაც უნდა გაუწიონ პირადად პარტიული აქტივის მეცადინეობას პარტიის ისტორიის შესწავლის საქმეში.

4. წინადადება მიეცეს ყველა პარტიულ ორგანიზაციას საჭირო დახმარება აღმოუჩინონ კომკავშირულ ორგანიზაციებს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლის დაყენების საქმეში.

დაევალოს საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის ბიუროს განიხილოს საკ. ა. ლ. კ. კ. მოსკოვის საქალაქო კომიტეტის ღონისძიებანი კომკავშირული აქტივისა, კომკავშირელებისა და მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის მიერ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლის საქმეში.

5. წინადადება მიეცეთ საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის ბიუროს და რაიკომებს გაშალონ პროფკავშირთა მონაწილეობით საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლა უპარტიო აქტივს შორის და მოაწყონ ყველა მშრომელის ფართოდ გაცნობა საკ. კ. პ. (ბ) ისტორიასთან ლექციების, მოხსენებების, საუბრებისა და კონსულტაციების მოწყობით და სხვ.

6. პლენუმი მოითხოვს ყველა პარტიული ხელმძღვანელისაგან ყოველდღიური და კონკრეტული ხელმძღვანელობის გაწევას საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლის საქმისათვის, ავალებს ყველა პარტიულ ორგანიზაციას გამოჰყონ პროპაგანდისტთა საუკეთესო კადრები საკ. კ. პ. (ბ) ისტორიაში მეცადინეობის ჩასატარებლად და პროპაგანდისტულ მუშაობაში ჩააბან მთელი პარტიული აქტივი.

ერთა ლიგის პლენუმის გახსნა

ჟენევა, 12 სექტემბერი (საკდეპი). დღეს ჯორდანის (ახალი ზელანდია) თავმჯდომარეობით გაიხსნა ერთა ლიგის მე-19 პლენუმი.

თავის სიტყვაში ჯორდანმა აღნიშნა, რომ ზოგიერთი სახელმწიფო ამჟამად არღვევს ერთა ლიგის წესდებას, მიუხედავად მათი ვალდებულებისა, და ამიტომ წესდება არ მოქმედობს, ისე, როგორც ეს მის ავტორებს სურდათ. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ამის მიზეზი თვით წესდების რედაქციაში მდგომარეობს და სურთ თვით წესდებაში დიდი შესწორების შეტანით „გამოასწორონ საქმე“. სხვები—და მათ რიცხვში ჩემი მთავრობაც, — დაუმატა ჯორდანმა, — ამ შეხედულებას არ იზიარებენ. ისინი ფიქრობენ, რომ წესდება წარმოადგენს მშვიდობიანობის დაცვის საქმეში საერთაშორისო თანამშრომლობის სისტემის ქმედუნარიანობისთვის აუცილებელი პრინციპების მინიმუმს.

შეეხო რა დღევანდელ საერთაშორისო კრიზისს, ჯორდანმა განაცხადა, „ამ ტრიბუნიდან მე მინდა საზეიმოდ განვაცხადო, რომ ის ამბები, რომლებიც ევროპაში ვითარდება, მეტად სერიოზულად აწუხებს არა მარტო იმ ქვეყნებს, რომლებიც პირდაპირ არიან დაინტერესებულნი, არამედ აგრეთვე მთელი მსოფლიოს ყველა მცირე და დიდ ქვეყნებსაც. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ შევძლებთ მშვიდობიანობის შენარჩუნებას. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ თუ მშვიდობიანობა დაირღვა, მაშინ იმას, ვინც ამ მშვიდობიანობას დაარღვევს არ შეუძლია იმედი იქონიოს იმ სახელმწიფოთა ნეიტრალიტეტისა, რომელნიც თითქოს შორს არიან კონფლიქტისაგან“.

* * *

ჟენევა, 12 სექტემბერი (საკდეპი). ერთა ლიგის პლენუმის საღამოს სხდომაზე თავმჯდომარედ აირჩიეს დე ვალერა (ირლანდია). პლენუმმა დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება. ამ კომისიის ცნობით, პლენუმში მონაწილეობენ 48 სახელმწიფოს დელეგაციები.

სსრ კავშირისაგან ესწრება დელეგაცია ამხ. ლიტვინოვის, მაისკის და სურიცის (დელეგატები), მერეკალოვისა და კოლონტაის (დელეგატების მოადგილეები) შემადგენლობით.

პლენუმმა აირჩია კომიტეტი, რომელიც წამოაყენებს პლენუმის ბიუროში ასარჩევ კანდიდატებს. ამ კომიტეტში შევიდა ამხ. სურიცი.

პლენუმის ვიცე-თავმჯდომარეებად აირჩიეს პირველი დელეგატები სსრ კავშირისა (ამხ. ლიტვინოვი), დიდბრიტანეთისა, საფრანგეთისა და ზოგიერთი სხვა სახელმწიფოებისა.

ჩინეთის მთავრობის ნოტა ერთა ლიგისადმი

ჟენევა, 12 სექტემბერი (საკდეპი). ჩინეთის მთავრობამ ერთა ლიგას გაუგზავნა ნოტა, რომელშიც მოითხოვს ერთა ლიგის წესდების მე-17 მუხლის დაუყოვნებლივ გამოყენებას იაპონიის მიმართ (ერთა ლიგის წესდების მე-17 მუხლი ითვალისწინებს სანქციების გამოყენებას ერთა ლიგის არაწევრ აგრესორის მიმართ, რომელიც ომს მიმართავს ერთა ლიგის წევრის წინააღმდეგ).

ამხ. ლიტვინოვმა მიიღო დელ ვაიო და ბონე

ჟენევა, 11 სექტემბერი (საკდეპი). გუშინ ამხ. ლიტვინოვმა მიიღო ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დელ ვაიო.

დღეს დილით ჟენევაში ჩამოსვლისთანავე საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბონე მიიღო ამხ. ლიტვინოვმა და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მასთან.

საფრანგეთის მთავრობის სხდომა

პარიზი, 13 სექტემბერი (საკდეპი). ჰავასის სააგენტოს გადმოცემით, დღეს დილით შესდგა საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს სხდომა. სხდომაზე, ჰიტლერის სიტყვასთან დაკავშირებით, მოხსენებებით გამოვიდნენ მთავრობის მეთაური დალადიე და საგარეო საქმეთა მინისტრი ჟორჟ ბონე და გააკეთეს ინფორმაცია ჩეხოსლოვაკიაში მომხდარი უკანასკნელი ინციდენტების შესახებ. სხდომაზე აგრეთვე მოსმენილ იქნა ნაციონალური თავდაცვის მინისტრის მოხსენება.

მინისტრთა საბჭომ გამოიტანა ერთსულოვანი გადაწყვეტილება, რომ ძალაში დარჩეს ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფის ღონისძიებანი, რომლებიც მიღებულია უკანასკნელ დღეებში.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შესწავლის შესახებ

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურომ თავის ამა წლის 11 სექტემბრის სხდომაზე განიხილა საკითხი „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლის შესახებ.

ბიურომ აღნიშნა კომუნისტებისა და ყველა მშრომელის მიერ ჩვენი პარტიის გმირული ისტორიის პირველი, ნამდვილად მეცნიერული ლენინურ - სტალინური სახელმძღვანელოს—„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა. ბოლშევიზმის დაუფლების შესახებ ამხანაგი სტალინის ისტორიული ლოზუნგის განხორციელების საქმეში.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ბიურომ წინადადება მისცა საქ. კ. პ. (ბ) რაიონულ, საქალაქო და საოლქო კომიტეტებს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელ ყველა წრეში, აგრეთვე ყველა პროპაგანდისტულ სემინარში მოაწყონ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლა. პროპსემინარების ხელმძღვანელთა უკეთ მომზადების მიზნით მათთვის უნდა მოეწყოს სპეციალური მოხსენებები საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის საკვანძო საკითხებზე.

ხელმძღვანელი რაიონული პარტიული აქტივის პოლიტიკური თვითგანვითარების ყველა ჯგუფი უნდა გადავიდეს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლაზე.

საქ. კ. პ. (ბ) რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა ყველა საწარმოსა, საბჭოთა მეურნეობასა, კოლმეურნეობასა, სასწავლებლებსა, დაწესებულებასა, კლუბსა და წითელ კუთხეში მშრომელთა ფართო მასებისათვის უნდა მოაწყონ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ ხმამაღლა წაკითხვა, რისთვისაც უნდა გამოჰყონ ყველაზე მომზადებული კომუნისტები. რაიკომების მდივნებმა პირადად უნდა გაუწიონ ინსტრუქტაჟი წაკითხვისათვის გამოყოფილ ამხანაგებს.

ყველა აგიტკოლექტივში უნდა მოეწყოს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლა. საქ. კ. პ. (ბ) რაიონული და საქალაქო კომიტეტების მდივნებმა უნდა უზრუნველჰყონ აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა სათანადო ინსტრუქტაჟი.

ყველა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში პარტიული აქტივისათვის მოწყობილ უნდა იქნას სისტემატური მოხსენებები „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ თავებისა და კარების მიხედვით. მომხსენებლებს პარტიული აქტივისათვის თავიანთ სხდომებზე ამტკიცებენ საქ. კ. პ. (ბ) რაიონული და საქალაქო კომიტეტების ბიუროები.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებას დაევალა კეცხოველის სახელობის პარტიული განათლების სახლის საშუალებით უზრუნველჰყოს მომხსენებელთა სათანადო ინსტრუქტაჟი და კონსულტაცია.

პარტკაბინეტებში, პარტიული განათლების სახლებში, აგრეთვე კლუბებსა და წითელ კუთხეებში უნდა მოეწყოს მოხსენებები და სისტემატური კონსულტაცია „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლის საკითხებზე.

მომხსენებლებს და კონსულტანტებს, აგრეთვე მოხსენებებისა და კონსულტანტების გეგმებს ამტკიცებენ საქალაქო კომიტეტები, რაიკომები და პირველადი პარტიული ორგანიზაციების პარტკომები.

რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული გაზეთებისა და ჟურნალების რედაქტორებმა უნდა მოაწყონ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლის გამოცდილების ფართო გაზიარება.

საქ. ალკკ ც. კ-ს დაევალა დაამუშაოს და გაატაროს ღონისძიებანი „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლის მოსაწყობად კომკავშირულ ორგანიზაციებში.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის ბოლშევიკური სახელმძღვანელო

მოსკოვი, 13 სექტემბერი (ტელეგრ. ჩვენი საკ. კორ.). დღეს „პრავდა“ აქვეყნებს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ მე-5 და მე-6 თავებს. მე-5 თავის სათაურია: „ბოლშევიკების პარტია მუშათა მოძრაობის აღმავლობის წლებში პირველი იმპერიალისტური ომის წინ (1912-1914 წლ.)“ და შეიცავს შემდეგ განყოფილებებს: 1. რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა 1912-1914 წლებში, 2. ბოლშევიკური გაზეთი „პრავდა“. ბოლშევიკური ფრაქცია IV სახელმწიფო სათათბიროში, 3. ბოლშევიკების გამარჯვება ლეგალურ ორგანიზაციებში. რევოლუციური მოძრაობის შემდგომი ზრდა. იმპერიალისტური ომის წინადღეები. მე-6 თავის სათაურია: „ბოლშევიკების პარტია იმპერიალისტური ომის პერიოდში. მეორე რევოლუცია რუსეთში (1914 წ.-1917 წ. მარტი)“ და იყოფა შემდეგ განყოფილებებად: 1. იმპერიალისტური ომის წარმოშობა და მიზეზები, 2. II ინტერნაციონალის პარტიების გადასვლა თავიანთი იმპერიალისტური მთავრობების მხარეზე. II ინტერნაციონალის დაშლა ცალკეულ სოციალ-შოვინისტურ პარტიებად, 3. ბოლშევიკური პარტიის თეორია და ტაქტიკა ომის, ზავისა და რევოლუციის საკითხებში, 4. მეფის ჯარების დამარცხება ფრონტზე. სამეურნეო ნგრევა. ცარიზმის კრიზისი, 5. თებერვლის რევოლუცია. ცარიზმის დაცემა. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შექმნა. დროებითი მთავრობის შექმნა. ორხელისუფლებიანობა.

უკანასკნელი ცნობები

ჰენლაინელთა პუტჩი ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 13 სექტემბერი (საკდეპი). 12 სექტემბერს ღამით ჰენლაინელებმა სუდეტის ოლქში მოაწყეს პუტჩი. ღამის 12 საათიდან დაწყებული დასავლეთ ჩეხიის 40 პუნქტში—ხებესა და ლაბის უსტის შუა—მოხდა ჩეხოსლოვაკელ ჰიტლერელთა შეიარაღებული გამოსვლები. ყველა ეს გამოსვლა ორგანიზებულ ხასიათს ატარებდა და, როგორც ჩანს, მას ერთიანი ცენტრი ხელმძღვანელობდა. მთელ რიგ პუნქტებში ჰენლაინელებმა შესძლეს ხელთ ეგდოთ ფოსტა, ტელეგრაფი, შეეწყვიტათ სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირი პრაღასთან, დაეპატიმრებინათ რკინიგზის სადგურების უფროსები, ფოსტის უფროსები, რკინიგზის მოსამსახურეები და საზღვრის მცველები.

ამავე დროს ჰენლაინელებმა დაიწყეს ებრაელი და ჩეხი მოსახლეობის დარბევა, ტერორისტული აქტები ანტიფაშისტთა წინააღმდეგ, დემოკრატიულ მოსახლეობასთან შეიარაღებული შეტაკების პროვოკაციები. კრასნე ბრჟეზნოში ჰენლაინელებმა მოაწყეს „დემონსტრაცია“, რომლის დამთავრების შემდეგ დემონსტრანტთა რიგებიდან ორჯერ გაისროლეს პროვოკაციულად, რის შედეგადაც მოკლულ იქნა ტროტუარზე მდგომი გერმანელი და ჩეხი. მეორე ქალაქში ჯარების შესვლისას ერთი შენობის ფანჯრიდან ნასროლი ტყვიით მოკლულ იქნა ჯარისკაცი. ხების გარდა, დიდ შეტაკებებს ჰქონდა ადგილი აგრეთვე კარლოვი ვარში (კარლსბადი), შუმპერკსა და სხვა ქალაქებში. საქსონიის საზღვარზე ორ ადგილას ჰენლაინელებმა გერმანიიდან საზღვარზე გადაატარეს დაახლოებით 2 ათასი შეიარაღებული (სს) და „სუდეტელ გერმანელთა ლეგიონის“ წევრი.

პოლიციის, ჟანდარმერიის დახმარებით, ხოლო ზოგიერთ ადგილას რეგულარული ჯარების დახმარებითაც, პუტჩი ლიკვიდირებულ იქნა. ბრძოლა რამდენიმე საათს გრძელდებოდა. საჭიროა აღინიშნოს, რომ პოლიცია და ჯარის ნაწილები პუტჩისტთა წინააღმდეგ მოქმედებდნენ ისე, რომ ცენტრიდან მიღებული განკარგულების თანახმად, იარაღი არ უხმარიათ.

13 სექტემბერს შუადღისათვის ყველა პუნქტში, სადაც ადგილი ჰქონდა ჰენლაინელთა გამოსვლებს, წესრიგი აღდგენილი იყო. მთავრობამ გამოსცა განკარგულება 8 ოლქში საგანგებო წესების შემოღების შესახებ, ამასთან მოქმედებს საგანგებო სასამართლო, რომელსაც უფლება აქვს ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლებისათვის დამნაშავეებს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანოს. ამ ოლქებში გაიგზავნა რეგულარული ჯარები.

ჯერჯერობით იმის გამორკვევა მოხერხდა, რომ პუტჩის ხელმძღვანელობაში მონაწილეობას იღებდნენ პარლამენტის მთელი რიგი ჰენლაინელი დეპუტატები. არის ცნობები, რომ დღეს ჰენლაინელები ამზადებენ გამოსვლებს შემდეგ ქალაქებში: ლიბერეცი, ლაბის უსტი, ხომუტოვი და სხვ.

ყველა ცნობანი მოწმობენ, რომ ჰენლაინელი პუტჩისტები შეუდგნენ ეგრეთწოდებული „ესპანური ვარიანტის“ რეალიზაციას. სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ გერმანიის საზღვარზე სწარმოებს ჯარების გაძლიერებული კონცენტრაცია.

ჰენლაინელთა პროვოკაციული ულტიმატუმი ჩეხოსლოვაკიის მთავრობას

პარიზი, 13 სექტემბერი (საკდეპი). პარიზში მიღებულია ცნობები, რომ სუდეტელ გერმანელთა პარტიის ხელმძღვანელობამ 17 საათსა და 30 წუთზე ჩეხოსლოვაკიის მთავრობას გაუგზავნა ულტიმატუმი, რომელშიც მოითხოვს სუდეტის ოლქის 4 ოკრუგში გამოცხადებული საგანგებო წესების გაუქმებას, სახელმწიფო პოლიციის გაწვევას სუდეტის ოლქიდან, საპოლიციო ფუნქციების გადაცემას სუდეტის ოლქის ქალაქებისა და თემების მერებისათვის. როგორც იუწყებიან, დეპეშას ხელს აწერენ ჰენლაინი, კუნდტი, სებეკოვსკი. დეპეშაში ნათქვამია, რომ ამ მოთხოვნების შეუსრულებლობა 6 საათის ვადაში ჩეხოსლოვაკიის მთავრობას დააკისრებს პასუხისმგებლობას მთელი შემდგომი ამბებისათვის, რომლებიც შეიძლება მოხდეს“.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების)

ისტორია

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კომისიის რედაქციით

მოკლე კურსი

მოწონებულია საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიერ. 1938 წელი

შესავალი

საკავშირო კომუნისტურმა პარტიამ (ბოლშევიკებისა) განვლო დიდი და სახელოვანი გზა პირველი მცირერიცხოვანი მარქსისტული წრეებიდან და ჯგუფებიდან, რომლებიც გაჩნდნენ რუსეთში გასული საუკუნის 80-იან წლებში, ბოლშევიკთა დიად პარტიამდე, რომელიც ამჟამად ხელმძღვანელობს მსოფლიოში პირველს მუშათა და გლეხთა სოციალისტურ სახელმწიფოს.

საკ. კ. პ. (ბ) აღმოცენდა რევოლუციამდელი რუსეთის მუშათა მოძრაობის საფუძველზე მარქსისტული წრეებიდან და ჯგუფებიდან, რომლებიც მუშათა მოძრაობას დაუკავშირდნენ და რომლებმაც ამ მოძრაობაში სოციალისტური შეგნება შეიტანეს. საკ. კ. პ. (ბ) ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმის რევოლუციური მოძღვრებით. მისმა ბელადებმა იმპერიალიზმის, იმპერიალისტური ომებისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის ახალ პირობებში შემდგომი განვითარება მისცეს მარქსისა და ენგელსის მოძღვრებას, აიყვანეს იგი ახალ საფეხურზე.

საკ. კ. პ. (ბ) იზრდებოდა და მტკიცდებოდა პრინციპულ ბრძოლაში მუშათა მოძრაობის შიგნით არსებული წვრილბურჟუაზიული პარტიების — ესერების (ხოლო კიდევ უფრო ადრე მათი წინამორბედების — ნაროდნიკების), მენშევიკების, ანარქისტების, ყველა ჯურის ბურჟუაზიული ნაციონალისტების, პარტიის შიგნით კი — მენშევიკური, ოპორტუნისტული მიმდინარეობების, — ტროცკისტების, ბუხარინელების, ნაციონალ-უკლონისტების და სხვა ანტილენინური ჯგუფების წინააღმდეგ.

საკ. კ. პ. (ბ) მტკიცდებოდა და იწრთობოდა რევოლუციურ ბრძოლაში მუშათა კლასის ყველა მტრის, მშრომელთა ყველა მტრის — მემამულეების, კაპიტალისტების, კულაკების, მავნებლების, ჯაშუშების, კაპიტალისტური გარემოცვის ყველა დაქირავებული აგენტის წინააღმდეგ.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორია არის ისტორია სამი რევოლუციისა: 1905 წლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისა, 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისა და 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორია არის ისტორია ცარიზმის დამხობისა, მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალაუფლების დამხობისა, ისტორია სამოქალაქო ომის დროს უცხოეთის შეიარაღებული ინტერვენციის განადგურებისა, ისტორია ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა სახელმწიფოს და სოციალისტური საზოგადოების აშენებისა.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლა გვამდიდრებს სოციალიზმისათვის ჩვენი ქვეყნის მუშებისა და გლეხების მიერ წარმოებული ბრძოლის გამოცდილებით.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლა, მარქსიზმ-ლენინიზმის ყველა მტერთან, მშრომელთა ყველა მტერთან ჩვენი პარტიის ბრძოლის ისტორიის შესწავლა გვეხმარება **ბოლშევიზმის დაუფლებაში**, გვიმაღლებს პოლიტიკურ სიფხიზლეს.

ბოლშევიკური პარტიის გმირული ისტორიის შესწავლა გვაიარაღებს საზოგადოებრივი განვითარებისა და პოლიტიკური ბრძოლის კანონების ცოდნით, რევოლუციის მამოძრავებელი ძალების ცოდნით.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლა განგვიმტკიცებს ლენინ-სტალინის პარტიის დიადი საქმის საბოლოო გამარჯვების რწმენას, მთელ მსოფლიოში კომუნიზმის გამარჯვების რწმენას.

ამ წიგნში მოკლედ გადმოცემულია საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია.

თავი I

ბრძოლა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნისათვის რუსეთში

(1883—1901 წლები)

1. ბატონყმობის გაუქმება და სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში. თანამედროვე სამრეწველო პროლეტარიატის გაჩენა. მუშათა მოძრაობის პირველი ნაბიჯები.

მეფის რუსეთი სხვა ქვეყნებზე უფრო გვიან დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას. გასული საუკუნის 60-იან წლებამდე რუსეთში ძალიან ცოტა იყო ფაბრიკები და ქარხნები. სჭარბობდა თავადაზნაურ-მემამულეთა ბატონყმური მეურნეობა. ბატონყმური წყობილების დროს მრეწველობას ჯეროვნად განვითარება არ შეეძლო. ყმათა იძულებითი შრომა იძლეოდა შრომის დაბალ ნაყოფიერებას სოფლის მეურნეობაში. ეკონომიური განვითარების მთელი მსვლელობა ბატონყმობის მოსპობისაკენ მიიმართებოდა. მეფის მთავრობა, ყირიმის კამპანიის დროს ომში დამარცხებით დასუსტებული და მემამულეთა წინააღმდეგ გლეხთა „ბუნტებით" შეშინებული, იძულებული გახდა გაეუქმებინა 1861 წელს ბატონყმობა.

მაგრამ ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც მემამულენი განაგრძობდნენ გლეხების ჩაგვრას. მემამულეებმა გაძარცვეს გლეხები, „განთავისუფლების" დროს წაართვეს, ჩამოაჭრეს მათ იმ მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლითაც გლეხები წინათ სარგებლობდნენ. მიწის ამ ნაწილს გლეხებმა „ჩამონაჭრები" უწოდეს. გლეხები აიძულეს ექლიათ მემამულეებისათვის თავისი „განთავისუფლების" გამოსასყიდი — დაახლოვებით ორი მილიარდი მანეთი.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ გლეხები იძულებული იყვნენ უაღრესად მძიმე პირობებში იჯარით აეღოთ მემამულეთა მიწა. გარდა ფულადი საიჯარო ქირისა მემამულე ხშირად აიძულებდა გლეხებს მუქთად დაემუშავებინათ გლეხური იარაღებითა და ცხენებით მემამულის მიწის განსაზღვრული რაოდენობა. ამას ეწოდებოდა „მუშაობით ანაზღაურება" („ოტრაბოტკი"), „საბატონო ბეგარა". უფრო ხშირად გლეხი იძულებული იყო მემამულისათვის მიწის საიჯარო ქირა ეძლია ნატურით მოსავლიდან თავისი მოსავლის ნახევრის რაოდენობით. ამას ეწოდებოდა „სანახევროდ" მუშაობა.

ამრიგად, რჩებოდა თითქმის ისევე მდგომარეობა, რაც ბატონყმობის დროს იყო, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ახლა გლეხი პირადად თავისუფალი იყო, აღარ შეიძლებოდა გაეყიდათ ან ეყიდათ იგი, როგორც ნივთი.

მემამულეები უკანასკნელ ძალღონეს აცლიდნენ ჩამორჩენილ გლეხურ მეურნეობას სხვადასხვა მძარცველური ხერხებით (იჯარა, ჯარიმები). გლეხობის ძირითად მასას მემამულეების მხრით ჩაგვრის გამო არ შეეძლო თავისი მეურნეობის გაუმჯობესება. აქედან წარმოსდგებოდა სოფლის მეურნეობის უკიდურესი ჩამორჩენილობა რევოლუციამდელ რუსეთში, რაც იწვევდა ხშირ მოუსავლიანობასა და შიმშილობას.

ბატონყმური მეურნეობის ნაშთები, ვეებერთელა ხარკები და მემამულეებისათვის გამოსასყიდი ფასის გადახდა, რაც ხშირად გლეხური მეურნეობის შემოსავლიანობას აღემატებოდა, იწვევდნენ გლეხთა მასების გაჩანაგებას, გალატაკებას, აიძულებდნენ გლეხებს წასულიყვნენ სოფლებიდან საშოვარის საძებნელად. ისინი მიდიოდნენ ფაბრიკებსა და ქარხნებში. მეფაბრიკეები იაფ მუშა-ხელს შოულობდნენ.

მუშებსა და გლეხებს მბრძანებლობდა მთელი არმია ბოქაულებისა, ურიადნიკებისა, ჟანდარმებისა, პოლიციელებისა, ჩაფრებისა, რომლებიც იცავდნენ მეფეს, კაპიტალისტებს, მემამულეებს მშრომელთა წინააღმდეგ, ექსპლუატირებულთა წინააღმდეგ. 1903 წლამდე არსებობდა ფიზიკური სასჯელი. მიუხედავად ბატონყმობის გაუქმებისა გლეხებს როზგავდნენ ოდნავი დანაშაულისათვის, ხარკის გადაუხდელობისათვის. მუშებს სცემდნენ პოლიცია და ყაზახები, განსაკუთრებით გაფიცვების დროს, როდესაც მუშები სწყვეტდნენ მუშაობას, რადგან ისინი მეფაბრიკეების მხრით შევიწროვებას ვეღარ იტანდნენ. მუშებსა და გლეხებს მეფის რუსეთში არავითარი პოლიტიკური უფლებები არა ჰქონდათ. მეფის თვითმპყრობელობა ხალხის უბოროტესი მტერი იყო.

მეფის რუსეთი ხალხთა საპყრობილე იყო. მეფის რუსეთის მრავალრიცხოვანი არარუსი ხალხები სრულიად უუფლებონი იყვნენ, განუწყვეტლივ განიცდიდნენ ყოველგვარ დამცირებასა და შეურაცხყოფას. მეფის მთავრობა აჩვევდა რუს მოსახლეობას ისე მოპყრობოდა ნაციონალური ოლქების მკვიდრ ხალხებს, როგორც დაბალ რასას, ოფიციალურად უწოდებდა მათ „ინოროდცებს", ნერგავდა ზიზღსა და სიძულვილს მათდამი. მეფის მთავრობა შეგნებულად აღვივებდა ნაციონალურ შუღლს, ამხედრებდა ერთ ხალხს მეორის წინააღმდეგ, აწყობდა ებრაელთა პოგრომებს, თათარ-სომეხთა ხოცვა-ჟლეტას ამიერ-კავკასიაში.

ნაციონალურ ოლქებში ყველა ან თითქმის ყველა სახელმწიფო თანამდებობანი რუს ჩინოვნიკებს ეჭირათ. მთელი საქმეები დაწესებულებებში, სასამართლოებში რუსულ ენაზე სწარმოებდა. აკრძალული იყო ნაციონალურ ენებზე გაზეთებისა და წიგნების გამოცემა. სკოლებში აკრძალული იყო დედაენაზე სწავლა. მეფის მთავრობა მიისწრაფოდა ჩაეხშო ნაციონალური კულტურის ყოველგვარი გამოვლინება, ატარებდა არარუს ეროვნებათა ძალდატანებითი „გარუსების" პოლიტიკას. ცარიზმი არარუს ხალხთა ჯალათად და მტანჯველად გამოდიოდა.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ რუსეთში სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარება საკმაოდ სწრაფად წავიდა, მიუხედავად ბატონყმობის ნაშთებისა, რომლებიც კიდევ აფერხებდნენ ამ განვითარებას. 25 წელიწადში, 1865-დან 1890 წლამდე, მუშათა რაოდენობა მარტო დიდ ფაბრიკებში, ქარხნებში და რკინიგზებზე გაიზარდა 706 ათასიდან 1.433 ათასამდე, ესე-იგი ერთი-ორად და უფრო მეტად.

კიდევ უფრო სწრაფად იწყო განვითარება კაპიტალისტურმა მსხვილმა მრეწველობამ რუსეთში 90-იან წლებში. 90-იანი წლების დამლევისათვის მუშების რაოდენობა დიდ ფაბრიკებსა და ქარხნებში, სამთო მრეწველობაში, რკინიგზებზე, ევროპის რუსეთის მარტო 50 გუბერნიაში 2.207 ათასამდე გაიზარდა, ხოლო მთელ რუსეთში—2.792 ათასამდე.

ეს იყო თანამედროვე სამრეწველო პროლეტარიატი, რომელიც ძირფესვიანად განსხვავდებოდა ბატონყმური პერიოდის ფაბრიკების მუშებისაგან და წვრილი, კუსტარული და ყოველგვარი სხვა მრეწველობის მუშებისაგან, როგორც მსხვილ კაპიტალისტურ საწარმოებში მჭიდროდ თავმოყრით, ისე თავისი საბრძოლო რევოლუციური თვისებებით.

90-იანი წლების სამრეწველო აღმავლობა პირველ რიგში დაკავშირებული იყო რკინიგზების გაძლიერებულ მშენებლობასთან. ათი წლის განმავლობაში (1890-1900 წლები) გაყვანილ იქნა 21 ათას ვერსზე მეტი ახალი რკინიგზები. რკინიგზებს უდიდესი რაოდენობით სჭირდებოდათ ლითონი (რელსებისა, ორთქლმავლებისა და ვაგონებისათვის), სჭირდებოდათ სულ უფრო და უფრო მეტი სათბობი, ქვანახშირი და ნავთი. ამან გამოიწვია მეტალურგიისა და სათბობ მასალათა მრეწველობის განვითარება.

ისევე როგორც ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში, რევოლუციამდელ რუსეთში სამრეწველო აღმავლობის წლები იცვლებოდა სამრეწველო კრიზისების, მრეწველობის შეჩერების წლებით, რომლებიც დიდად აუარესებდნენ მუშათა კლასის მდგომარეობას, უმუშევრობასა და სილატაკეს განუმზადებდნენ ასეულ ათასობით მუშებს.

თუმცა კაპიტალიზმის განვითარება ბატონყმობის გაუქმების შემდეგ რუსეთში საკმაოდ სწრაფად მიმდინარეობდა, მაინც რუსეთი ძალიან ჩამორჩებოდა თავისი ეკონომიური განვითარებით სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებს. მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა ჯერ კიდევ სოფლის მეურნეობას მისდევდა. თავის განთქმულ წიგნში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში" ლენინს მოჰყავდა დიდმნიშვნელოვანი ციფრები მოსახლეობის საყოველთაო აღწერისა, რომელიც მოხდა 1897 წელს. აღმოჩნდა, რომ სოფლის მეურნეობაში ჩაბმული იყო მთელი მოსახლეობის დაახლოვებით ხუთი მეექვსედი, ხოლო მსხვილ და წვრილ მრეწველობაში, ვაჭრობაში, რკინიგზის და წყლის ტრანსპორტზე, მშენებლობაში, ხე-ტყის დამუშავებაზე და ასე შემდეგ ჩაბმული იყო მთელი მოსახლეობის მხოლოდ დაახლოვებით ერთი მეექვსედი ნაწილი.

ეს ცხადჰყოფს, რომ რუსეთი, მიუხედავად მასში კაპიტალიზმის განვითარებისა, იყო აგრარული, ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყანა, წვრილბურჟუაზიული ქვეყანა, ესე-იგი ისეთი, რომელშიაც კიდევ სჭარბობდა წვრილ-მესაკუთრეული, მცირედნაყოფიერი ერთპიროვნული გლეხური მეურნეობა.

კაპიტალიზმის განვითარება მიმდინარეობდა არა მარტო ქალაქად, არამედ სოფლადაც. გლეხობა, რევოლუციამდელი რუსეთის ყველაზე მრავალრიცხოვანი კლასი, იშლებოდა, ფენებად იყოფოდა. სოფლად ყველაზე შეძლებული გლეხებიდან გამოიყოფოდა კულაკური ზედაფენა, სოფლის ბურჟუაზია, ხოლო, მეორე მხრით, ბევრი გლეხი ღატაკდებოდა, ზრდიდა ღარიბი გლეხების, სოფლის პროლეტარებისა და ნახევრადპროლეტარების რაოდენობას. საშუალო გლეხების რაოდენობა კი წლითი-წლობით მცირდებოდა.

1903 წელს რუსეთში ითვლებოდა დაახლოვებით 10 მილიონი გლეხური კომლი. თავის ბროშურაში „ღარიბი გლეხობისადმი" ლენინმა გამოიანგარიშა, რომ კომლთა ამ რაოდენობიდან არანაკლებ სამნახევარი მილიონი კომლისა უცხენო გლეხები იყვნენ. ეს ულარიბესი გლეხური კომლები ჩვეულებრივად მიწის უმნიშვნელო ნაკვეთს თესდნენ, დანარჩენ მიწას კი კულაკებს იჯარით აძლევდნენ, ხოლო თვითონ საშოვარზე მიდიოდნენ. თავისი მდგომარეობით ულარიბესი გლეხები ყველაზე ახლოს იდგნენ პროლეტარიატთან. ლენინი მათ სოფლის პროლეტარებს ანუ ნახევრადპროლეტარებს უწოდებდა.

მეორე მხრით, მილიონნახევარმა მდიდარმა, კულაკურმა გლეხურმა კომლმა (საერთო რიცხვიდან — 10 მილიონიდან) ხელში ჩაიგდო გლეხობის მთელი ნათესების ნახევარი. ეს გლეხური ბურჟუაზია მდიდრდებოდა იმით, რომ ავიწროვებდა ღარიბ და საშუალო გლეხობას, გამორჩომას პოულობდა მოჯამაგირეთა და დღიურ მოქირავეთა შრომით და იქცეოდა სასოფლო-სამეურნეო კაპიტალისტებად.

გასული საუკუნის უკვე 70-იან და განსაკუთრებით 80-იან წლებში რუსეთის მუშათა კლასმა გამოღვიძება იწყო და დაიწყო ბრძოლა კაპიტალისტების წინააღმდეგ. მუშების მდგომარეობა მეფის რუსეთში არაჩვეულებრივად მძიმე იყო. 80-იან წლებში სამუშაო დღე ფაბრიკებსა და ქარხნებში 12½ საათზე ნაკლები არ იყო, ხოლო საფეიქრო მრეწველობაში 14-15 საათს აღწევდა. ფართოდ სწარმოებდა ქალთა და ბავშვთა შრომის ექსპლუატაცია. ბავშვები იმდენსავე საათს მუშაობდნენ, რამდენსაც სრულასაკოვანნი, მაგრამ ღებულობდნენ, ისევე როგორც ქალები, გაცილებით ნაკლებ ხელფასს. ხელფასი მეტისმეტად დაბალი იყო. მუშების მეტი ნაწილი თვეში 7-8 მანეთს ღებულობდა. ყველაზე მაღალხელფასიანი მუშები ლითონის დამმუშავებელ და სამსხმელო ქარხნებში ღებულობდნენ არაუმეტეს 35 მანეთისა თვეში. არ არსებობდა შრომის არავითარი დაცვა, რაც იწვევდა მუშების მასობრივ დასახიჩრებასა და სიკვდილს. არ იყო მუშების დაზღვევა, სამედიცინო დახმარებას მხოლოდ ფასით უწევდნენ. არაჩვეულებრივად მძიმე იყო საბინაო პირობები. კოლოფივით პატარა თითო ოთახში მუშათა ყაზარმებში 10-12 მუშა ცხოვრობდა. მეფაბრიკეები ხშირად ატყუებდნენ მუშებს ანგარიშში, აიძულებდნენ მეწარმის დუქნებში ეყიდნათ პროდუქტები ერთი-სამად უფრო ძვირად, ჯარიმების საშუალებით სძარცვავდნენ მუშებს.

მუშებმა დაიწყეს ერთმანეთთან შეთანხმება და ფაბრიკის პატრონისათვის ერთად მოთხოვნის წარდგენა თავისი აუტანელი მდგომარეობის შემსუბუქების შესახებ. ისინი სტოვებდნენ სამუშაოს, ესე-იგი აცხადებდნენ გაფიცვას. პირველი გაფიცვები 70-იან და 80-იან წლებში ჩვეულებრივად წარმოიშვებოდა აუტანელი ჯარიმების, მუშებთან ანგარიშის გასწორების დროს მათი თვალისახვევის, მოტყუების, შეფასებათა დაკლების გამო.

მოთმინებიდან გამოსული მუშები პირველი გაფიცვების დროს ზოგჯერ ამტვრევდნენ მანქანებს, ამსხვრევდნენ მინებს ფაბრიკის შენობებში, ანადგურებდნენ მეწარმის დუქნებსა და კანტორებს.

მოწინავე მუშებმა თანდათანობით შეიგნეს, რომ კაპიტალისტებთან წარმატებით ბრძოლისათვის საჭირო იყო ორგანიზაცია. უკვე ჩნდებოდნენ მუშათა კავშირები.

1875 წელს ოდესაში მოეწყო „სამხრეთ-რუსეთის მუშათა კავშირი". ამ პირველმა მუშათა ორგანიზაციამ 8-9 თვეს იარსება, შემდეგ იგი განადგურებულ იქნა მეფის მთავრობის მიერ.

პეტერბურგში 1878 წელს მოეწყო „რუს მუშათა ჩრდილოეთის კავშირი", რომლის სათავეშიაც იდგნენ დურგალი ხალტურინი და ზეინკალი ობნორსკი. ამ კავშირის პროგრამაში ნათქვამი იყო, რომ თავისი ამოცანებით იგი დასავლეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიებს ემხრობოდა. კავშირის საბოლოო მიზნად დასახული იყო სოციალისტური რევოლუციის გატარება — „სახელმწიფოს არსებული პოლიტიკური და ეკონომიური წყობილების დამხობა, როგორც უაღრესად უსამართლო წყობილებისა". კავშირის ერთერთი ორგანიზატორი — ობნორსკი ერთხანს საზღვარგარეთ ცხოვრობდა, იქ გაეცნო მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული პარტიებისა და I ინტერნაციონალის საქმიანობას, ინტერნაციონალისა, რომელსაც მარქსი ხელმძღვანელობდა. ამან თავისი კვალი დააჩნია „რუს მუშათა ჩრდილოეთის კავშირის" პროგრამას. თავის უახლოეს ამოცანად ეს კავშირი ისახავდა ხალხისათვის პოლიტიკური თავისუფლებისა და პოლიტიკური უფლებების (სიტყვის, პრესის თავისუფლების, კრებების უფლებისა და ასე შემდეგ) მოპოვებას. უახლოეს მოთხოვნათა შორის იყო აგრეთვე სამუშაო დღის განსაზღვრა.

კავშირის წევრთა რიცხვი 200 კაცს აღწევდა, და ამდენივე იყო თანამგრძნობი. კავშირი იწყებდა მონაწილეობის მიღებას მუშათა გაფიცვებში, ხელმძღვანელობდა მათ. მეფის მთავრობამ მუშათა ეს კავშირიც გაანადგურა.

მაგრამ მუშათა მოძრაობა ზრდას განაგრძობდა, სულ ახალ და ახალ რაიონებს ედებოდა. 80-იან წლებში დიდძალი გაფიცვები მოხდა. ხუთ წელიწადში (1881-1886 წლები) მოხდა 48-ზე მეტი გაფიცვა, რომლებშიაც მონაწილეობდა 80 ათასი მუშა.

რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ დიდ გაფიცვას, რომელმაც იფეთქა 1885 წელს მოროზოვის ფაბრიკაში ორეხოვო-ზუევოში.

ამ ფაბრიკაში დაახლოვებით 8 ათასი მუშა მუშაობდა. მუშაობის პირობები დღითი-დღე უარესდებოდა: 1882-დან 1884 წლამდე ხუთჯერ მოხდა ხელფასის დაკლება, ამასთან 1884 წელს შეფასებები ერთბაშად შემცირებულ იქნა ერთი მეოთხედით, ე. ი. 25 პროცენტით. მაგრამ გარდა ამისა მეფაბრიკე მოროზოვმა მუშები ჯარიმებით გააწამა. როგორც გაფიცვის შემდეგ სასამართლოში გამოირკვა, ყოველი გამომუშავებული მანეთიდან მუშას ჯარიმების სახით მეფაბრიკის სასარგებლოდ ართმევდნენ 30-დან 50 კაპეიკამდე. მუშებმა ვეღარ აიტანეს ეს ძარცვა და 1885 წლის იანვარში გაფიცვა გამოაცხადეს. გაფიცვა წინასწარ ორგანიზებული იყო. მას ხელმძღვანელობდა მოწინავე მუშა პეტრე მოისეენკო, რომელიც წინათ „რუს მუშათა ჩრდილოეთის კავშირის" წევრი იყო და უკვე ჰქონდა რევოლუციური გამოცდილება. გაფიცვის წინადღეს მოისეენკომ სხვა, ყველაზე მეტად შეგნებულ ფეიქრებთან ერთად შეიმუშავა მეფაბრიკისათვის წარსადგენად მთელი რიგი მოთხოვნები, რომლებიც დამტკიცებულ იქნა მუშათა ფარულ თათბირზე. უწინარეს ყოვლისა მუშები მოითხოვდნენ მძარცველურ ჯარიმათა შეწყვეტას.

ეს გაფიცვა შეიარაღებული ძალით ჩააქრეს. 600-ზე მეტი მუშა დაპატიმრებულ იქნა, რამდენიმე ათეული მათგანი სამართალში მისცეს.

ასეთივე გაფიცვები ხდებოდა 1885 წელს ივანოვო-ვოზნესენსკის ფაბრიკებში.

შემდეგ წელს მეფის მთავრობა, მუშათა მოძრაობის ზრდით შეშინებული, იძულებული გახდა გამოეცა კანონი ჯარიმათა შესახებ. ამ კანონში ნათქვამი იყო, რომ ჯარიმებით შემოსული ფული მეფაბრიკის ჯიბეში კი არ უნდა მიდიოდეს, არამედ თვით მუშათა საჭიროებებს ხმარდებოდესო.

მოროზოვის ფაბრიკაში მომხდარი და სხვა გაფიცვების გამოცდილებით მუშებმა შეიგნეს, რომ მათ ბევრის მიღწევა შეეძლოთ ორგანიზებული ბრძოლით. მუშათა მოძრაობამ დაიწყო თავისი წრიდან უნარიან ხელმძღვანელთა და ორგანიზატორთა გამოყოფა, რომლებიც მტკიცედ იცავდნენ მუშათა კლასის ინტერესებს.

ამავე დროს მუშათა მოძრაობის ზრდის ნიადაგზე და დასავლეთ-ევროპის მუშათა მოძრაობის გავლენით რუსეთში იწყება პირველი მარქსისტული ორგანიზაციების შექმნა.

2. ნაროდნიკობა და მარქსიზმი რუსეთში. პლეხანოვი და მისი „შრომის განთავისუფლების" ჯგუფი. პლეხანოვის ბრძოლა ნაროდნიკობასთან. მარქსიზმის გავრცელება რუსეთში.

მარქსისტული ჯგუფების აღმოცენებამდე რევოლუციურ მუშაობას რუსეთში ეწეოდნენ ნაროდნიკები, რომლებიც მარქსიზმის მოწინააღმდეგენი იყვნენ.

რუსეთის პირველი მარქსისტული ჯგუფი აღმოცენდა 1883 წელს. ეს იყო „შრომის განთავისუფლების" ჯგუფი, რომელიც გ. ვ. პლეხანოვმა მოაწყო საზღვარგარეთ, ჟენევაში, სადაც იგი იძულებული გახდა წასულიყო, რათა თავიდან აეცილებინა მეფის მთავრობის მიერ დევნა რევოლუციური მოღვაწეობისათვის.

პლეხანოვი მანამდე თვითონ იყო ნაროდნიკი. ემიგრაციაში იგი გაეცნო მარქსიზმს, რის შემდეგ გასწყვიტა კავშირი ნაროდნიკობასთან და გახდა მარქსიზმის გამოჩენილი პროპაგანდისტი.

„შრომის განთავისუფლების" ჯგუფმა შეასრულა დიდი მუშაობა მარქსიზმის გასავრცელებლად რუსეთში. მან სთარგმნა რუსულ ენაზე მარქსისა და ენგელსის შრომები: „მანიფესტი კომუნისტური პარტიისა", „დაქირავებული შრომა და კაპიტალი", „სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ" და სხვანი, დაბეჭდა ისინი საზღვარგარეთ და იწყო მათი ფარულად გავრცელება რუსეთში. გ. ვ. პლეხანოვმა, ზასულიჩმა, აქსელროდმა და ამ ჯგუფის სხვა მონაწილეებმა დასწერეს აგრეთვე მთელი რიგი ნაწარმოებები, რომლებშიც ისინი განმარტავდნენ მარქსისა და ენგელსის მოძღვრებას, განმარტავდნენ **მეცნიერული სოციალიზმის** იდეებს.

მარქსმა და ენგელსმა, პროლეტარიატის დიდმა მასწავლებლებმა, წინააღმდეგ სოციალისტ-უტოპისტებისა, პირველებმა განმარტეს, რომ სოციალიზმი მეოცნებეთა (უტოპისტთა) გამონაგონი კი არ არის, არამედ თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების აუცილებელი შედეგია. მათ გვიჩვენეს, რომ კაპიტალისტური წყობილება დაეცემა ისევე, როგორც დაეცა ბატონყმური წყობილება, რომ კაპიტალიზმი თვითვე ჰქმნის თავისთვის მესაფლავეს პროლეტარიატის სახით. მათ გვიჩვენეს, რომ მხოლოდ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა, მხოლოდ პროლეტარიატის გამარჯვება ბურჟუაზიაზე იხსნის კაცობრიობას კაპიტალიზმისაგან, ექსპლუატაციისაგან.

მარქსი და ენგელსი ასწავლიდნენ პროლეტარიატს შეეცნო თავისი ძალები, შეეცნო თავისი კლასობრივი ინტერესები და გაერთიანებულიყო ბურჟუაზიის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის. მარქსმა და ენგელსმა აღმოაჩინეს კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების კანონები და მეცნიერულად დაამტკიცეს, რომ კაპიტალისტური საზოგადოების განვითარებას და ამ საზოგადოებაში კლასობრივ ბრძოლას გარდუვალად უნდა მოჰყვეს კაპიტალიზმის დაცემა, პროლეტარიატის გამარჯვება, **პროლეტარიატის დიქტატურა.**

მარქსი და ენგელსი გვასწავლიდნენ, რომ კაპიტალის ძალაუფლებისაგან თავის დაღწევა და კაპიტალისტური საკუთრების გადაქცევა საზოგადოებრივ საკუთრებად შეუძლებელია მშვიდობიანი გზით, რომ ამის მიღწევა მუშათა კლასს შეუძლია მხოლოდ რევოლუციური ძალდატანებით ბურჟუაზიის წინააღმდეგ, **პროლეტარული რევოლუციის** გზით, თავისი პოლიტიკური ბატონობის — პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების გზით, რომელმაც უნდა დათრგუნოს ექსპლუატატორთა წინააღმდეგობა და შექმნას ახალი, უკლასო კომუნისტური საზოგადოება.

მარქსი და ენგელსი გვასწავლიდნენ, რომ სამრეწველო პროლეტარიატი წარმოადგენს კაპიტალისტური საზოგადოების ყველაზე რევოლუციურ და ამიტომ — ყველაზე მოწინავე კლასს, რომ მხოლოდ ისეთ კლასს, როგორიც არის პროლეტარიატი, შეუძლია შემოიკრიბოს გარშემო კაპიტალიზმით უკმაყოფილო ყველა ძალები და წაიყვანოს ისინი იერიშზე კაპიტალიზმის წინააღმდეგ. მაგრამ ძველი სამყარო რომ დაამარცხოს და შექმნას ახალი უკლასო საზოგადოება, პროლეტარიატს უნდა ჰყავდეს თავისი საკუთარი მუშური პარტია, რომელსაც მარქსი და ენგელსი კომუნისტურ პარტიას უწოდებდნენ.

მარქსისა და ენგელსის შეხედულებათა გავრცელებას შეუდგა კიდეც რუსეთის პირველი მარქსისტული ჯგუფი, პლეხანოვის „შრომის განთავისუფლების" ჯგუფი.

„შრომის განთავისუფლების" ჯგუფმა აღმართა მარქსიზმის დროშა რუსულ საზღვარგარეთულ პრესაში იმ მომენტში, როდესაც რუსეთში ჯერ კიდევ არ იყო სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა. აუცილებელი იყო ამ მოძრაობისათვის გზის გაკაფვა უწინარეს ყოვლისა თეორიულად, იდეურად. იმ დროს მარქსიზმის გავრცელებისა და სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის გზაზე მთავარი იდეური დაბრკოლება იყო ნაროდნიკული შეხედულებები, რომლებიც სჭარბობდნენ მაშინ მოწინავე მუშებსა და რევოლუციურად განწყობილ ინტელიგენციაში.

რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად მუშათა კლასი ხდებოდა მძლავრ მოწინავე ძალად, რომელსაც შესწევდა ორგანიზებული რევოლუციური ბრძოლის უნარი, მაგრამ ნაროდნიკებს არ ესმოდათ მუშათა კლასის მოწინავე როლი. რუსი ნაროდნიკები შეცდომით სთვლიდნენ, რომ მთავარ რევოლუციურ ძალას წარმოადგენს არა მუშათა კლასი, არამედ გლეხობა, რომ მეფისა და მემამულეთა ძალაუფლების დამხობა შეიძლება მხოლოდ გლეხური „ბუნტების" გზით. ნაროდნიკები არ იცნობდნენ მუშათა კლასს და მათ არ ესმოდათ, რომ მუშათა კლასთან კავშირის გარეშე და მისი ხელმძღვანელობის გარეშე მარტო გლეხები ვერ შესძლებენ ცარიზმისა და მემამულეთა დამარცხებას. ნაროდნიკებს არ ესმოდათ, რომ მუშათა კლასი წარმოადგენს საზოგადოების ყველაზე რევოლუციურ და ყველაზე მოწინავე კლასს.

ნაროდნიკები თავდაპირველად შეეცადნენ აემხედრებინათ გლეხები მეფის მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ მიზნით რევოლუციური ინტელიგენტური ახალგაზრდობა, გლეხის ტანსაცმელში გადაცმული, დაიძრა სოფლისაკენ — „ხალხში", როგორც მაშინ ამბობდნენ. აქედან წარმოსდგა თვით სახელწოდება „ნაროდნიკები" (ხალხოსნები). მაგრამ გლეხობა არ გაჰყვა მათ, ვინაიდან ისინი არც გლეხებს იცნობდნენ, როგორც საჭიროა, და არ ესმოდათ მათი. ნაროდნიკების უმრავლესობა დააპატიმრა პოლიციამ. მაშინ ნაროდნიკებმა გადასწყვიტეს განეგრძოთ ბრძოლა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მარტო თავისი ძალებით, უხალხოდ, რასაც კიდევ უფრო სერიოზული შეცდომები მოჰყვა.

ნაროდნიკულმა ფარულმა საზოგადოებამ „ნაროდნაია ვოლიამ" იწყო მეფის მოკვლის მზადება. 1881 წლის 1 მარტს ნაროდოვოლცებმა ნასროლი ყუმბარით შესძლეს მეფე ალექსანდრე II-ის მოკვლა. მაგრამ ამან ხალხს არავითარი სარგებლობა არ მოუტანა. ცალკეულ პირთა მოკვლით არ შეიძლებოდა მეფის თვითმპყრობელობის დამხობა, არ შეიძლებოდა მემამულეთა კლასის მოსპობა. მოკლული მეფის ადგილი დაიკავა სხვამ — ალექსანდრე III-ემ, რომლის დროსაც მუშათა და გლეხთა ცხოვრება კიდევ უფრო გაუარესდა.

ცალკეულ მკვლელობათა საშუალებით, ინდივიდუალური ტერორის საშუალებით ცარიზმთან ბრძოლის გზა, რომელიც ნაროდნიკებმა აირჩიეს, შემცდარი იყო და რევოლუციისათვის მავნე. ინდივიდუალური ტერორის პოლიტიკა გამომდინარეობდა არასწორი ნაროდნიკული თეორიიდან, რომ არსებობენ აქტიური „გმირები" და პასიური „ბრბო", რომელიც „გმირებისაგან" გმირობას მოელის. ეს ყალბი თეორია ლაპარაკობდა, რომ მხოლოდ ცალკეული გამოჩენილი ერთეულები ჰქმნიან ისტორიას, ხოლო მასას, ხალხს, კლასს, „ბრბოს", როგორც აგდებულად ამბობდნენ ნაროდნიკი მწერლები, არ შესწევს უნარი შეგნებული, ორგანიზებული მოქმედებისა, მას შეუძლია მხოლოდ ბრმად მისდიოს „გმირებს". ამიტომ ნაროდნიკებმა ხელი აიღეს გლეხობასა და მუშათა კლასში მასობრივ რევოლუციურ მუშაობაზე და ინდივიდუალურ ტერორზე გადავიდნენ. ნაროდნიკებმა აიძულეს იმ დროის ერთერთი უდიდესი რევოლუციონერი სტეფანე ხალტურინი შეეწყვიტა მუშაობა რევოლუციური მუშათა კავშირის ორგანიზაციის ხაზით და მთლიანად ტერორზე გადასულიყო.

ნაროდნიკები მშრომელთა ყურადღებას აშორებდნენ მჩაგვრელთა კლასთან ბრძოლას იმით, რომ მიმართავდნენ ამ კლასის ცალკეულ წარმომადგენელთა მკვლელობას, რაც რევოლუციისათვის უსარგებლო იყო. ისინი აფერხებდნენ მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციური ინიციატივისა და აქტივობის განვითარებას.

ნაროდნიკები ხელს უშლიდნენ მუშათა კლასს შეეგნო თავისი ხელმძღვანელი როლი რევოლუციაში და აფერხებდნენ მუშათა კლასის დამოუკიდებელი პარტიის შექმნას.

ნაროდნიკების ფარული ორგანიზაცია თუმცა დაამსხვრია მეფის მთავრობამ, მაგრამ ნაროდნიკული შეხედულებები კიდევ დიდხანს რჩებოდა რევოლუციურად განწყობილ ინტელიგენციაში. ნაროდნიკების ნაშთები დაჟინებით უწევდნენ წინააღმდეგობას მარქსიზმის გავრცელებას რუსეთში, ხელს უშლიდნენ მუშათა კლასის ორგანიზაციას.

ამიტომ მარქსიზმი რუსეთში შეიძლებოდა გაზრდილიყო და განმტკიცებულიყო მხოლოდ ნაროდნიკობასთან ბრძოლაში.

„შრომის განთავისუფლების" ჯგუფმა გაშალა ბრძოლა ნაროდნიკების შემცდარ შეხედულებათა წინააღმდეგ, იგი უჩვენებდა, თუ რა ზიანი მოაქვს მუშათა მოძრაობისათვის ნაროდნიკების მოძღვრებას და ბრძოლის მათს საშუალებებს.

ნაროდნიკების წინააღმდეგ მიმართულ თავის შრომებში პლეხანოვმა გვიჩვენა, რომ ნაროდნიკების შეხედულებებს საერთო არაფერი აქვთ მეცნიერულ სოციალიზმთან, თუმცა ნაროდნიკები თავიანთ თავს სოციალისტებს უწოდებდნენ.

პლეხანოვმა პირველმა მოგვცა ნაროდნიკების შემცდარ შეხედულებათა მარქსისტული კრიტიკა. მარჯვედ სცემდა რა ლახვარს ნაროდნიკულ შეხედულებებს, პლეხანოვი ამავე დროს ბრწყინვალედ იცავდა მარქსისტულ შეხედულებებს.

რაში მდგომარეობდა ნაროდნიკების ძირითადი შემცდარი შეხედულებები, რომლებსაც პლეხანოვმა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა?

პირველი, ნაროდნიკები ამტკიცებდნენ, რომ კაპიტალიზმი რუსეთში წარმოადგენს „შემთხვევით" მოვლენას, რომ იგი ვერ განვითარდება რუსეთში, მაშასადამე, ვერ გაიზრდება და ვერ განვითარდება პროლეტარიატიც.

მეორე, ნაროდნიკები მუშათა კლასს არ სთვლიდნენ მოწინავე კლასად რევოლუციაში. ისინი ოცნებობდნენ სოციალიზმის მიღწევაზე უპროლეტარიატოდ. მთავარ რევოლუციურ ძალად ნაროდნიკები სთვლიდნენ გლეხობას, რომელსაც ინტელიგენცია ხელმძღვანელობდა, და გლეხურ თემს, რომელსაც ისინი უყურებდნენ, როგორც სოციალიზმის ჩანასახსა და საფუძველს.

მესამე, ნაროდნიკებს ჰქონდათ შემცდარი და მავნე შეხედულება კაცობრიობის ისტორიის მთელ მსვლელობაზე. მათ არ იცოდნენ და არ ესმოდათ საზოგადოების ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების კანონები. ისინი ამ მხრივ სრულიად ჩამორჩენილი ადამიანები იყვნენ. მათი აზრით, ისტორიას აკეთებენ არა კლასები და არა კლასთა ბრძოლა, არამედ მხოლოდ ცალკეული გამოჩენილი პიროვნებები — „გმირები", რომლებსაც ბრმად მიჰყვებიან მასები, „ბრბო", ხალხი, კლასები.

ებრძოდა რა ნაროდნიკებს და ამხელდა რა მათ, პლეხანოვმა დასწერა მთელი რიგი მარქსისტული შრომები, რომლებზედაც სწავლობდნენ და იზრდებოდნენ მარქსისტები რუსეთში. პლეხანოვის ისეთმა შრომებმა, როგორიცაა „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა", „ჩვენი უთანხმოებანი", „ისტორიაზე მონისტური შეხედულების განვითარების საკითხისათვის", გასწმინდეს ნიადაგი მარქსიზმის გამარჯვებისათვის რუსეთში.

თავის შრომებში პლეხანოვმა გააშუქა მარქსიზმის ძირითადი საკითხები. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის წიგნს „ისტორიაზე მონისტური შეხედულების განვითარების საკითხისათვის", რომელიც 1895 წელს გამოიცა. ლენინი მიუთითებდა, რომ ამ წიგნზე „აღი-

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)

გაგრძელება

ზარდა რუსეთის მარქსისტთა მთელი თაობა“ (ლენინი, ტ. XIV, გვ. 347).

ნაროდნიკების წინააღმდეგ მიმართულ თავის შრომებში პლეხანოვმა დაამტკიცა, რომ უაზროა საკითხის ისე დაყენება, როგორც მას აყენებდნენ ნაროდნიკები: უნდა განვითარდეს თუ არა კაპიტალიზმი რუსეთში? საქმე იმაშია, ამბობდა პლეხანოვი, ამტკიცებდა რა ამას ფაქტებით, რომ რუსეთი უკვე დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას და რომ არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს გადაახვევინოს მას ამ გზიდან.

რევოლუციონერების ამოცანა ის კი არ იყო, რომ შეეჩერებინათ კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, — ამას ისინი სულერთია ვერ შესძლებდნენ. რევოლუციონერების ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ დაყრდნობოდნენ იმ მძლავრ რევოლუციურ ძალას, რომელსაც წარმოშობს კაპიტალიზმის განვითარება, — მუშათა კლასს, განევითარებინათ მისი კლასობრივი შეგნება, დაერაზმათ იგი, დახმარებოდნენ მას შეექმნა თავისი მუშური პარტია.

პლეხანოვმა დაამსხვრია ნაროდნიკების მეორე ძირითადი შემცდარი შეხედულებაც — მათ მიერ რევოლუციურ ბრძოლაში პროლეტარიატის მოწინავე როლის უარყოფა. ნაროდნიკები პროლეტარიატის გაჩენას რუსეთში განიხილავდნენ როგორც თავისებურ „ისტორიულ უბედურებას“, სწერდნენ „პროლეტარიატობის წყლულზე“. იცავდა რა მარქსიზმის მოძღვრებას და რუსეთისადმი მისი გამოყენების სრულ შესაძლებლობას, პლეხანოვი ამტკიცებდა, რომ, მიუხედავად გლეხობის რაოდენობრივი სიჭარბისა და პროლეტარიატის შედარებითი მცირერიცხოვანობისა, — რევოლუციონერებმა სწორედ პროლეტარიატზე, მის ზრდაზე უნდა დაამყარონ თავიანთი მთავარი იმედები.

რატომ სახელდობრ პროლეტარიატზე?

იმიტომ, რომ პროლეტარიატი, მიუხედავად მისი ახლანდელი მცირერიცხოვანობისა, წარმოადგენს ისეთ მშრომელ კლასს, რომელიც დაკავშირებულია მეურნეობის ყველაზე მოწინავე ფორმასთან, — მსხვილ წარმოებასთან, და ამის გამო დიდი მომავალი აქვს.

იმიტომ, რომ პროლეტარიატი, როგორც კლასი, წლითიწლობით იზრდება, პოლიტიკურად ვითარდება, მსხვილ წარმოებაში შრომის პირობების გამო ადვილად შეიძლება ორგანიზებულ იქნას და ყველაზე რევოლუციურია თავისი პროლეტარული მდგომარეობის გამო, ვინაიდან რევოლუციაში იგი არაფერს დაჰკარგავს, გარდა თავისი ბორკილებისა.

სულ სხვა არის გლეხობის საქმე. გლეხობა (ლაპარაკი იყო ერთპიროვნულ გლეხობაზე. — რედ.), მიუხედავად მისი მრავალრიცხოვანობისა, წარმოადგენს ისეთ მშრომელ კლასს, რომელიც დაკავშირებულია მეურნეობის ყველაზე ჩამორჩენილ ფორმასთან, — წვრილ წარმოებასთან, რის გამო მას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს დიდი მომავალი.

გლეხობა არა თუ არ იზრდება, როგორც კლასი, არამედ, პირიქით, წლითიწლობით იყოფა ბურჟუაზიად (კულაკები) და ღარიბებად (პროლეტარები, ნახევრადპროლეტარები). ამასთან იგი უფრო ძნელი დასარაზმავია თავისი დაქსაქსულობის გამო და უფრო ნაკლები ხალისით, ვიდრე პროლეტარიატი, მიდის რევოლუციურ მოძრაობაში თავისი წვრილმესაკუთრული მდგომარეობის გამო.

ნაროდნიკები ამტკიცებდნენ, რომ რუსეთში სოციალიზმი დამყარდება არა პროლეტარიატის დიქტატურის საშუალებით, არამედ გლეხური თემის საშუალებით, რომელსაც ისინი სთვლიდნენ სოციალიზმის ჩანასახად და ბაზად. მაგრამ თემი არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო სოციალიზმის არც ბაზა და არც ჩანასახი, ვინაიდან თემში ბატონობდნენ კულაკები, „სოფლისჭამიები“, რომლებიც ექსპლუატაციას უწევდნენ ღარიბებს, მოჯამაგირეებს, ხელმოკლე საშუალო გლეხებს. ფორმალურად არსებული სათემო მიწათმფლობელობა და მჭამელთა რიცხვის მიხედვით მიწის განაწილება, რაც დროდადრო ხდებოდა, სრულებითაც არ სცვლიდა საქმეს. მიწით სარგებლობდნენ თემის ის წევრები, რომლებსაც ჰყავდათ მუშა პირუტყვი, ჰქონდათ ინვენტარი, თესლი, ე. ი. შეძლებული საშუალო გლეხები და კულაკები. უცხენო გლეხები, ღარიბები და საერთოდ ხელმოკლეები იძულებულნი იყვნენ მიეცათ მიწა კულაკებისათვის და ემუშავნათ დაქირავებით, მოჯამაგირეებად. გლეხური თემი მართლაც მოხერხებული ფორმა იყო კულაკების ძალადური გავლენის დასაფარავად და იოლი საშუალება ცარიზმის ხელში გლეხობისაგან გადასახადთა ასაკრეფად ურთიერთ თავდებობის პრინციპით. ამიტომ იყო, რომ ცარიზმი ხელს არ ახლებდა გლეხურ თემს. სასაცილო იქნებოდა ასეთი თემი სოციალიზმის ჩანასახად ან ბაზად ჩაგვეთვალა.

პლეხანოვმა დაამსხვრია აგრეთვე ნაროდნიკების მესამე ძირითადი შემცდარი შეხედულება საზოგადოებრივ განვითარებაში „გმირების“, გამოჩენილ პიროვნებათა, მათი იდეების პირველხარისხოვანი როლის შესახებ, და მასის, „ბრბოს“, ხალხის, კლასების უმნიშვნელო როლის შესახებ. პლეხანოვი ბრალს სდებდა ნაროდნიკებს **იდეალიზმში**, ამტკიცებდა, რომ სიმართლე არის არა იდეალიზმის მხარეზე, არამედ მარქს - ენგელსის **მატერიალიზმის** მხარეზე.

პლეხანოვმა განავითარა და დაასაბუთა მარქსისტული მატერიალიზმის თვალსაზრისი. თანახმად მარქსისტული მატერიალიზმისა, იგი ამტკიცებდა, რომ საბოლოო ანგარიშით საზოგადოების განვითარებას განსაზღვრავს არა გამოჩენილ პიროვნებათა სურვილები და იდეები, არამედ საზოგადოების არსებობის მატერიალურ პირობათა განვითარება, იმ მატერიალურ დოვლათთა წარმოების საშუალებათა ცვლილებები, რომლებიც აუცილებელია საზოგადოების არსებობისათვის, ცვლილებები კლასების ურთიერთობისა მატერიალურ დოვლათთა წარმოების დარგში, კლასთა ბრძოლა როლისა და ადგილისათვის მატერიალურ დოვლათთა წარმოებისა და განაწილების დარგში. იდეები კი არ განსაზღვრავენ ადამიანთა საზოგადოებრივ-ეკონომიურ მდგომარეობას, არამედ ადამიანთა საზოგადოებრივ-ეკონომიური მდგომარეობა განსაზღვრავს მათ იდეებს. გამოჩენილი პიროვნებები შეიძლება იქცნენ არარაობად, თუ მათი იდეები და სურვილები ეწინააღმდეგება საზოგადოების ეკონომიურ განვითარებას, ეწინააღმდეგება მოწინავე კლასის მოთხოვნილებებს, და — პირიქით — გამოჩენილი ადამიანები შეიძლება გახდნენ მართლა გამოჩენილ პიროვნებებად, თუ მათი იდეები და სურვილები სწორად გამოხატავენ საზოგადოების ეკონომიური განვითარების მოთხოვნილებებს, მოწინავე კლასის მოთხოვნილებებს.

ნაროდნიკების მტკიცებას იმის შესახებ, რომ მასა ბრბოა, რომ მხოლოდ გმირები ჰქმნიან ისტორიას, ხოლო ბრბოს აქცევენ ხალხად, მარქსისტები უპასუხებდნენ: გმირები კი არ ჰქმნიან ისტორიას, არამედ ისტორია ჰქმნის გმირებს, მაშასადამე, — გმირები კი არ ჰქმნიან ხალხს, არამედ ხალხი ჰქმნის გმირებს და წინ სწევს ისტორიას. გმირებს, გამოჩენილ პიროვნებებს მხოლოდ იმდენად შეუძლიათ ითამაშონ სერიოზული როლი საზოგადოების ცხოვრებაში, რამდენადაც ისინი შესძლებენ საზოგადოების განვითარების პირობების სწორად გაგებას, იმის გაგებას, თუ როგორ შესცვალონ ისინი უმჯობესისაკენ. გმირები, გამოჩენილი პიროვნებანი შეიძლება მოხვდნენ სასაცილო და ყველასთვის უსარგებლო მარცხიან ადამიანთა მდგომარეობაში, თუ ისინი ვერ შესძლებენ სწორად გაიგონ საზოგადოების განვითარების პირობები და დაიწყებენ საზოგადოების ისტორიულ მოთხოვნილებათა წინააღმდეგ სვლას, წარმოიდგენენ რა თავს ისტორიის „შემქმნელებად“.

სწორედ ასეთი მარცხიანი გმირების კატეგორიას ეკუთვნოდნენ ნაროდნიკები.

პლეხანოვის ლიტერატურულმა ნაწარმოებებმა, ნაროდნიკებთან მისმა ბრძოლამ საფუძვლიანად გამოუთხარა ძირი ნაროდნიკების გავლენას რევოლუციურ ინტელიგენციაში. მაგრამ ნაროდნიკობის იდეური განადგურება ჯერ სრულებითაც არ იყო დამთავრებული. ეს ამოცანა — ნაროდნიკობის, როგორც მარქსიზმის მტრის — საბოლოოდ განადგურება წილად ხვდა ლენინს.

ნაროდნიკების უმრავლესობამ „ნაროდნაია ვოლიას“ პარტიის განადგურების შემდეგ მალევე აიღო ხელი მეფის მთავრობასთან რევოლუციურ ბრძოლაზე, დაიწყო მეფის მთავრობასთან შერიგების, შეთანხმების ქადაგება. ნაროდნიკები 80-იან და 90-იან წლებში კულაკობის ინტერესთა გამომხატველები გახდნენ.

„შრომის განთავისუფლების“ ჯგუფმა შეადგინა რუსეთის სოციალ-დემოკრატთა პროგრამის ორი პროექტი (პირველი 1884 წელს და მეორე 1887 წელს). ეს იყო მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი რუსეთში მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნის მოსამზადებლად.

მაგრამ „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფს სერიოზული შეცდომებიც ჰქონდა. მის პროგრამის პირველ პროექტში კიდევ იყო ნაროდნიკულ შეხედულებათა ნაშთები, დაშვებული იყო ინდივიდუალური ტერორის ტაქტიკა. შემდეგ, პლეხანოვი ვერ ითვალისწინებდა, რომ რევოლუციის მსვლელობაში პროლეტარიატს შეეძლო გაეყოლიებინა და უნდა გაეყოლიებინა კიდეც გლეხობა, რომ მხოლოდ გლეხობასთან შეკავშირებით შესძლებდა პროლეტარიატი ცარიზმზე გამარჯვებას. შემდეგ, პლეხანოვს ლიბერალური ბურჟუაზია მიაჩნდა ისეთ ძალად, რომელსაც შეეძლო რევოლუციისათვის მხარდაჭერა, თუმცაღა არცთუ მტკიცედ მხარდაჭერა, გლეხობას კი ზოგიერთ თავის შრომაში იგი სრულებით არ იღებდა მხედველობაში, მაგალითად, აცხადებდა, რომ:

> „გარდა ბურჟუაზიისა და პროლეტარიატისა ჩვენ ვერ ვხედავთ სხვა საზოგადოებრივ ძალებს, რომლებზეც დაყრდნობას შესძლებდნენ ჩვენში ოპოზიციური თუ რევოლუციური კომბინაციები“ (პლეხანოვი, ტ. III, გვ. 119).

პლეხანოვის ეს შემცდარი შეხედულებები მის მომავალ მენშევიკურ შეხედულებათა ჩანასახი იყო.

„შრომის განთავისუფლების“ ჯგუფიც და იმ დროის მარქსისტული წრეებიც ჯერ კიდევ პრაქტიკულად არ იყვნენ დაკავშირებულნი მუშათა მოძრაობასთან. ეს ჯერ კიდევ იყო პერიოდი რუსეთში მარქსიზმის თეორიის, მარქსიზმის იდეების, სოციალ-დემოკრატიის პროგრამული დებულებების წარმოშობისა და განმტკიცებისა. სოციალ-დემოკრატია ათი წლის განმავლობაში, 1884 — 1894 წლებში, არსებობდა ჯერ კიდევ ცალკეული პატარა ჯგუფებისა და წრეების სახით, რომლებიც დაკავშირებული არ იყვნენ ან ძალიან მცირედ იყვნენ დაკავშირებულნი მუშათა მასობრივ მოძრაობასთან. ჩვილი ყრმის მსგავსად, რომელიც ჯერ კიდევ არ დაბადებულა, მაგრამ უკვე ვითარდება დედის მუცელში, სოციალ-დემოკრატია განიცდიდა, როგორც სწერდა ლენინი, **„ჩანასახი განვითარების პროცესს“**.

„შრომის განთავისუფლების“ ჯგუფმა „მხოლოდ თეორიულად დააარსა სოციალ-დემოკრატია და გადასდგა პირველი ნაბიჯი მუშათა მოძრაობისაკენ“, — მიგვითითებდა ლენინი.

რუსეთში მუშათა მოძრაობასთან მარქსიზმის შეერთების, აგრეთვე „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის შეცდომათა გასწორების ამოცანის გადაჭრა მოუხდა ლენინს.

3. ლენინის რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისი. პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი, ბოლშევიზმის დამაარსებელი, დაიბადა ქ. სიმბირსკში (ახლა ულიანოვსკი) 1870 წელს. 1887 წელს ლენინი შევიდა ყაზანის უნივერსიტეტში, მაგრამ მალე დაპატიმრებულ და გარიცხულ იქნა უნივერსიტეტიდან სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის. ყაზანში ლენინი შევიდა ფედოსეევის მიერ მოწყობილ მარქსისტულ წრეში. ლენინის სამარაში გადასვლის შემდეგ მის გარშემო სწრაფად შეიქმნა სამარელი მარქსისტების პირველი წრე. უკვე მაშინ ლენინი ყველას აოცებდა მარქსიზმის ცოდნით.

1893 წლის დამლევს ლენინი გადავიდა პეტერბურგში. ლენინის პირველმავე გამოსვლებმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინეს პეტერბურგის მარქსისტული წრეების მონაწილეებზე. მარქსის არაჩვეულებრივად ღრმა ცოდნა, მაშინდელი დროის რუსეთის ეკონომიური და პოლიტიკური ვითარებისადმი მარქსიზმის შეფარდების უნარი, მხურვალე, ურყევი რწმენა მუშათა საქმის გამარჯვებისადმი, შესანიშნავი ორგანიზაციული ნიჭი — ყოველივე ეს ლენინს პეტერბურგელი მარქსისტების აღიარებულ ხელმძღვანელად ხდიდა.

ლენინი მხურვალე სიყვარულით სარგებლობდა მოწინავე მუშებში, რომლებთანაც იგი მეცადინეობდა წრეებში.

„ჩვენს ლექციებს,—იგონებს მუშა ბაბუშკინი მუშათა წრეებში ლენინის მეცადინეობის შესახებ, — მეტად ცოცხალი, საინტერესო ხასიათი ჰქონდათ, ჩვენ ყველანი მეტად კმაყოფილნი ვიყავით ამ ლექციებით და მუდამ აღტაცებაში მოვყავდით ჩვენი ლექტორის გონებას“.

1895 წელს ლენინმა პეტერბურგში გააერთიანა ყველა მარქსისტული მუშათა წრეები (მათი რიცხვი დაახლოებით უკვე 20-ს უდრიდა) ერთ „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირად“. ამით მან მოამზადა რევოლუციური მარქსისტული მუშათა პარტიის შექმნა.

ლენინი „ბრძოლის კავშირის“ წინაშე აყენებდა ამოცანას — უფრო მჭიდროდ დაკავშირებოდა მუშათა მასობრივ მოძრაობას და პოლიტიკური ხელმძღვანელობა გაეწია მისთვის. ლენინმა წამოაყენა წინადადება, რათა პროპაგანდისტულ წრეებში თავმოყრილი მოწინავე მუშების მცირე რაოდენობას შორის მარქსიზმის **პროპაგანდისაგან** გადასულიყვნენ საჭირბოროტო პოლიტიკურ **აგიტაციაზე** მუშათა კლასის ფართო მასებს შორის. ამ მობრუნებას მასობრივი აგიტაციისაკენ სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთში მუშათა მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის.

90-იან წლებში მრეწველობა აღმავლობის პერიოდს განიცდიდა. იზრდებოდა მუშების რაოდენობა. გაძლიერდა მუშათა მოძრაობა. 1895-დან 1899 წლამდე, არასრული ცნობებით, გაფიცული იყო სულ ცოტა 221 ათასი მუშა. მუშათა მოძრაობა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების სერიოზულ ძალად ხდებოდა. თვითონ ცხოვრება ადასტურებდა მარქსისტების შეხედულებებს რევოლუციურ მოძრაობაში მუშათა კლასის მოწინავე როლის შესახებ,—შეხედულებებს, რომლებსაც ისინი იცავდნენ ნაროდნიკებთან ბრძოლაში.

ლენინის ხელმძღვანელობით „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“ ეკონომიური მოთხოვნებისათვის—შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის, სამუშაო დღის შემცირებისათვის, ხელფასის მომატებისათვის—მუშების ბრძოლას უკავშირებდა პოლიტიკურ ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ. „ბრძოლის კავშირი“ პოლიტიკურად ზრდიდა მუშებს.

ლენინის ხელმძღვანელობით პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლების ბრძოლის კავშირმა“ რუსეთში პირველად იწყო **მუშათა მოძრაობასთან სოციალიზმის შეერთების** განხორციელება. როცა რომელიმე ფაბრიკაში გაფიცვა იფეთქებდა, „ბრძოლის კავშირი“, რომელიც თავისი წრეების მონაწილეთა საშუალებით კარგად იცნობდა საწარმოებში არსებულ მდგომარეობას, დაუყოვნებლივ ეხმაურებოდა ამას ფურცლების გამოშვებით, სოციალისტური პროკლამაციების გამოშვებით. ამ ფურცლებში ამხილებდნენ მეფაბრიკეების მიერ მუშების შევიწროებას, განმარტავდნენ, თუ როგორ უნდა ებრძოლნათ მუშებს თავისი ინტერესებისათვის, ათავსებდნენ მუშების მოთხოვნებს. ფურცლები ლაპარაკობდნენ მთელ სიმართლეს კაპიტალიზმის წყლულებზე, მუშების ღატაკურ ცხოვრებაზე, მათს უზომოდ მძიმე 12—14-საათიან შრომაზე, მათს უუფლებო მდგომარეობაზე. აქვე წამოყენებული იყო სათანადო პოლიტიკური მოთხოვნები. 1894 წლის დამლევს ლენინმა მუშა **ბაბუშკინის** მონაწილეობით დასწერა პირველი ასეთი საგიტაციო ფურცელი და მიმართვა პეტერბურგის სემიანიკოვსკის ქარხნის გაფიცული მუშებისადმი. 1895 წლის შემოდგომაზე ლენინმა დასწერა ფურცელი ტორნტონის ფაბრიკის გაფიცული მუშებისა და მუშა ქალებისადმი. ეს ფაბრიკა ეკუთვნოდა ინგლისელ მეფაბრიკეებს, რომლებიც მილიონიან მოგებას ღებულობდნენ. სამუშაო დღე აქ 14 საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა, ფეიქრები კი თვეში დაახლოებით 7 მანეთს აკეთებდნენ. გაფიცვა მუშებისათვის წარმატებით დამთავრდა. მოკლე ხნის განმავლობაში „ბრძოლის კავშირმა“ დაბეჭდა ათობით ასეთი ფურცლები, მიმართვები სხვადასხვა ფაბრიკის მუშებისადმი. თვითეული ასეთი ფურცელი ძლიერ ამაღლებდა მუშების სულისკვეთებას. მუშები ხედავდნენ, რომ მათ ეხმარებიან, მათ იცავენ სოციალისტები.

„ბრძოლის კავშირის“ ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა პეტერბურგის 30 ათასი ფეიქარი მუშის გაფიცვა 1896 წლის ზაფხულში. ძირითადი მოთხოვნა იყო სამუშაო დღის შემცირება. ამ გაფიცვის ზემოქმედებით მეფის მთავრობა იძულებული გახდა გამოეცა 1897 წლის 2 ივნისის კანონი, რომელიც სამუშაო დღეს 11½ საათამდე საზღვრავდა. ამ კანონამდე სამუშაო დღე საერთოდ არ იყო განსაზღვრული.

1895 წლის დეკემბერში ლენინი დაპატიმრებულ იქნა მეფის მთავრობის მიერ. ლენინი საპყრობილეშიც არ სწყვეტდა რევოლუციურ ბრძოლას. იგი ეხმარებოდა „ბრძოლის კავშირს“ თავისი რჩევითა და მითითებებით, ჰგზავნიდა რა საპყრობილედან ბროშურებსა და ფურცლებს. საპყრობილეში ლენინმა დასწერა ბროშურა „გაფიცვების შესახებ“ და პროკლამაცია „მეფის მთავრობისადმი“, რომელშიც ამხილებდა მეფის მთავრობის ველურ თვითნებობას. საპყრობილეშივე ლენინმა დასწერა პარტიის პროგრამის პროექტი (იგი დაწერილი იყო რძით სამედიცინო წიგნის სტრიქონებს შუა).

პეტერბურგის „ბრძოლის კავშირმა“ მძლავრი ბიძგი მისცა მუშათა წრეების გაერთიანებას ასეთივე კავშირებად რუსეთის სხვა ქალაქებსა და ოლქებშიც. 90-იანი წლების შუახანებში ჩნდება მარქსისტული ორგანიზაციები ამიერ-კავკასიაში. 1894 წელს მოსკოვში იქმნება მოსკოვის „მუშათა კავშირი“. ციმბირში 90-იანი წლების დამლევს ეწყობა ციმბირის „სოციალ-დემოკრატიული კავშირი“. 90-იან წლებში ივანოვო-ვოზნესენსკში, იაროსლავლში, კოსტრომაში წარმოიშვნენ მარქსისტული ჯგუფები, რომლებიც შემდეგ გაერთიანდნენ „სოციალ-დემოკრატიული პარტიის ჩრდილოეთის კავშირად“. დონის როსტოვში, ეკატერინოსლავში, კიევში, ნიკოლაევში, ტულაში, სამარაში, ყაზანში, ორეხოვო-ზუევოსა და სხვა ქალაქებში 90-იანი წლების მეორე ნახევარში იქმნება სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები და კავშირები.

პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის“ მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ იგი, ლენინის თქმით, წარმოადგენდა **მუშათა მოძრაობაზე დაყრდნობილი რევოლუციური პარტიის პირველ სერიოზულ ჩანასახს.** პეტერბურგის „ბრძოლის კავშირის“ რევოლუციურ გამოცდილებას ეყრდნობოდა ლენინი თავის შემდგომ მუშაობაში რუსეთის მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული პარტიის შესაქმნელად.

ლენინისა და მისი უახლოესი თანამებრძოლების დაპატიმრების შემდეგ პეტერბურგის „ბრძოლის კავშირის“ ხელმძღვანელობის შემადგენლობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. გაჩნდნენ ახალი ადამიანები, რომლებიც თავის-თავს „ახალგაზრდებს“ უწოდებდნენ, ლენინსა და მის თანამებრძოლებს კი — „მოხუცებს“. მათ იწყეს შემცდარი პოლიტიკური ხაზის გატარება. ისინი აცხადებდნენ, რომ საჭიროა მუშებს მოვუწოდოთ მხოლოდ ეკონომიური ბრძოლისაკენ მეწარმეების წინააღმდეგ, რაც შეეხება პოლიტიკურ ბრძოლას, ეს არის საქმე ლიბერალური ბურჟუაზიისა, რომელსაც უნდა ეკუთვნოდეს პოლიტიკური ბრძოლის ხელმძღვანელობაო.

ასეთ ადამიანებს „ეკონომისტები“ უწოდეს.

ეს იყო პირველი შემთანხმებლური, ოპორტუნისტული ჯგუფი რუსეთის მარქსისტული ორგანიზაციების რიგებში.

4. ლენინის ბრძოლა ნაროდნიკობისა და „ლეგალური მარქსიზმის“ წინააღმდეგ. ლენინის იდეა მუშათა კლასის და გლეხობის კავშირისა. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის I ყრილობა.

თუმცა უკვე 80-იან წლებში ნაროდნიკულ შეხედულებათა სისტემამ ძირითადი დარტყმა პლეხანოვისაგან განიცადა, მაგრამ 90-იანი წლების დასაწყისში ნაროდნიკების შეხედულებანი ჯერ კიდევ პოულობდნენ თანაგრძნობას რევოლუციური ახალგაზრდობის ზოგიერთ ნაწილში. ახალგაზრდობის ნაწილი ისევ ფიქრობდა, რომ რუსეთს შეუძლია ასცდეს განვითარების კაპიტალისტურ გზას, რომ რევოლუციაში მთავარ როლს ითამაშებს გლეხობა, და არა მუშათა კლასი. ნაროდნიკების ნაშთები ყოველნაირად ცდილობდნენ ხელი შეეშალათ მარქსიზმის გავრცელებისათვის რუსეთში, მათ გააჩაღეს ბრძოლა მარქსისტების წინააღმდეგ, ცდილობდნენ რა ყოველნაირად სახელი გაეტეხათ მათთვის. საჭირო იყო ნაროდნიკობის ბოლომდე **განადგურება იდეურად**, რათა უზრუნველყოფილიყო მარქსიზმის შემდგომი გავრცელება და სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნის შესაძლებლობა.

ეს მუშაობა შეასრულა ლენინმა.

თავის წიგნში „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ იბრძვიან ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“ (1894 წელი) ლენინმა ბოლომდე ამხილა ნამდვილი სახე ნაროდნიკებისა, როგორც ხალხის ყალბი „მეგობრებისა“, რომლებიც საქმით ხალხის წინააღმდეგ მიდიოდნენ.

90-იანი წლების ნაროდნიკებმა არსებითად დიდი ხანია ხელი აიღეს მეფის მთავრობასთან ყოველგვარ რევოლუციურ ბრძოლაზე. ლიბერალური ნაროდნიკები ქადაგებდნენ მეფის მთავრობასთან შერიგებას. „მათ ისე ჰგონიათ,—სწერდა ლენინი მაშინდელი დროის ნაროდნიკების შესახებ, — რომ თუ ამ მთავრობას კარგად და უფრო მოფერებით სთხოვე, მას შეუძლია ყველაფერი კარგად მოაწყოს“ (**ლენინი, ტ. I,** გვ. 161).

90-იანი წლების ნაროდნიკებს არ უნდოდათ შეემჩნიათ ღარიბების მდგომარეობა სოფლად, კლასობრივი ბრძოლა სოფლად, კულაკობის მიერ ღარიბების ექსპლუატაცია და ხოტბას ასხამდნენ კულაკურ მეურნეობათა განვითარებას. ისინი არსებითად გამოდიოდნენ როგორც კულაკობის ინტერესთა გამომხატველნი.

ამავე დროს ნაროდნიკები თავის ჟურნალებში აწარმოებდნენ დევნას მარქსისტების წინააღმდეგ. ნაროდნიკები შეგნებულად ამახინჯებდნენ, ასხვაფერებდნენ რუსეთის მარქსისტთა შეხედულებებს და ირწმუნებოდნენ, ვითომ მარქსისტებს უნდათ სოფლის გაჩანაგება, ვითომ მარქსისტებს უნდათ „თვითეული გლეხის გამოხარშვა ფაბრიკის ქვაბში“. ამხილებდა რა ამ ყალბ ნაროდნიკულ კრიტიკას, ლენინმა გვიჩვენა, რომ საქმე მარქსისტების „სურვილები“ კი არ არის, არამედ რუსეთის კაპიტალიზმის განვითარების ნამდვილი მსვლელობა, — რომლის დროსაც პროლეტარიატის რაოდენობა გარდუვალად მატულობს. მაგრამ პროლეტარიატი კაპიტალისტური წყობილების მესაფლავე გახდებაო.

ლენინმა გვიჩვენა, რომ ხალხის ნამდვილი მეგობრები, რომლებსაც სურთ მოსპონ კაპიტალისტური და მემამულური ჩაგვრა, მოსპონ ცარიზმი, არიან არა ნაროდნიკები, არამედ მარქსისტები.

ლენინმა თავის წიგნში „რანი არიან ხალხის მეგობრები“ პირველად წამოაყენა იდეა მუშათა და გლეხთა რევოლუციური კავშირისა, როგორც ცარიზმის, მემამულეების, ბურჟუაზიის დამხობის მთავარი საშუალებისა.

ლენინი ამ პერიოდის მთელ რიგ თავის შრომებში აკრიტიკებდა ნაროდნიკების პოლიტიკური ბრძოლის იმ საშუალებებს, რომლებსაც იყენებდა ნაროდნიკების ძირითადი ჯგუფი — ნაროდოვოლცები, შემდეგში კი — ნაროდნიკების გამგრძობნი — ესერები, განსაკუთრებით აკრიტიკებდა ინდივიდუალური ტერორის ტაქტიკას. ლენინს ეს ტაქტიკა მავნედ მიაჩნდა რევოლუციური მოძრაობისათვის, რადგან იგი მასების ბრძოლას ერთეული გმირების ბრძოლით სცვლიდა. იგი ნიშნავდა სახალხო რევოლუციური მოძრაობისადმი რწმენის უქონლობას.

წიგნში „რანი არიან ხალხის მეგობრები“ ლენინი სახავდა რუსეთის მარქსისტთა ძირითად ამოცანებს. ლენინის აზრით, რუსეთის მარქსისტებს პირველ რიგში უნდა შეექმნათ დაქსაქსული მარქსისტული წრეებისაგან ერთიანი სოციალისტური მუშათა პარტია. ლენინი შემდეგ აღნიშნავდა, რომ სწორედ რუსეთის მუშათა კლასი გლეხობასთან შეკავშირებით დაამხობს მეფის თვითმპყრობელობას, რის შემდეგ რუსეთის პროლეტარიატი მშრომელ და ექსპლუატირებულ მასებთან შეკავშირებით, სხვა ქვეყნების პროლეტარიატთან ერთად, აშკარა პოლიტიკური ბრძოლის პირდაპირი გზით გასწევს ძლევამოსილი კომუნისტური რევოლუციისაკენ.

ამრიგად, 40 წელზე მეტი ხნის წინათ ლენინმა სწორად გვიჩვენა მუშათა კლასის ბრძოლის გზა, განსაზღვრა მისი როლი, როგორც საზოგადოების მოწინავე რევოლუციური ძალისა, განსაზღვრა გლეხობის როლი, როგორც მუშათა კლასის მოკავშირისა.

ლენინისა და მისი მომხრეების ბრძოლამ ნაროდნიკობის წინააღმდეგ უკვე 90-იან წლებში მიგვიყვანა ნაროდნიკობის საბოლოო იდეურ განადგურებამდე.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ლენინის ბრძოლას „ლეგალური მარქსიზმის“ წინააღმდეგ. როგორც ყოველთვის ხდება ისტორიაში, დიდ საზოგადოებრივ მოძრაობას ჩვეულებრივ ეტმასნებიან დროებითი „თანამგზავრები“. ასეთი „თანამგზავრები“ იყვნენ ეგრეთწოდებული **„ლეგალური მარქსისტებიც“**. მარქსიზმმა იწყო ფართოდ გავრცელება რუსეთში. და აი, ბურჟუაზიულმა ინტელიგენტებმა იწყეს მარქსისტულ სამოსელში გახვევა. ისინი ჰბეჭდავდნენ თავის სტატიებს ლეგალურ, ესე იგი მეფის მთავრობის მიერ ნებადართულ, გაზეთებსა და ჟურნალებში. სწორედ ამიტომ უწოდეს მათ „ლეგალური მარქსისტები“.

ისინი თავისებურად ეწეოდნენ ბრძოლას ნაროდნიკობასთან. მაგრამ ისინი ცდილობდნენ ეს ბრძოლა და მარქსიზმის დროშა გამოეყენებინათ იმისთვის, რომ მუშათა მოძრაობა დაემორჩილებინათ და შეეგუებინათ ბურჟუაზიული საზოგადოების ინტერესებისადმი, ბურჟუაზიის ინტერესებისადმი. მარქსის მოძღვრებიდან ისინი უკუაგდებდნენ ყველაზე მთავარს — მოძღვრებას პროლეტარულ რევოლუციაზე, პროლეტარიატის დიქტატურაზე. ყველაზე გამოჩენილი ლეგალური მარქსისტი პეტრე სტრუვე ხოტბას ასხამდა ბურჟუაზიას და, კაპიტალიზმის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის ნაცვლად, მოგვიწოდებდა „გვეღიარებინა ჩვენი უკულტურობა და სასწავლად კაპიტალიზმთან წავსულიყავით“.

ნაროდნიკების წინააღმდეგ ბრძოლაში ლენინს დასაშვებად მიაჩნდა დროებითი შეთანხმება „ლეგალურ მარქსისტებთან“, რათა გამოეყენებინა ისინი ნაროდნიკების წინააღმდეგ, მაგალითად ნაბეჭდი კრებულის ერთად გამოშვება ნაროდნიკების წინააღმდეგ. მაგრამ ამავე დროს ლენინი მთელი სიმკაცრით აკრიტიკებდა „ლეგალურ მარქსისტებს“, ამხილებდა მათს ლიბერალურ-ბურჟუაზიულ ბუნებას.

ბევრნი ამ „თანამგზავრთაგანი“ გახდნენ კადეტები (რუსეთის ბურჟუაზიის მთავარი პარტია), სამოქალაქო ომის დროს კი — პირწავარდნილი თეთრგვარდიელები.

პეტერბურგში, მოსკოვში, კიევში და სხვაგან არსებული „ბრძოლის კავშირებთან“ ერთად, გაჩნდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები აგრეთვე რუსეთის დასავლეთ ნაციონალურ განაპირა მხარეებში. 90-იან წლებში მარქსისტული ელემენტები გამოეყვნენ პოლონეთის ნაციონალისტურ პარტიას და შეჰქმნეს „პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატია“. 90-იანი წლების დამლევს იქმნება ლატვიის სოციალ-დემოკრატიის ორგანიზაციები. 1897 წლის ოქტომბერში რუსეთის დასავლეთ გუბერნიებში შეიქმნა ებრაელთა საყოველთაო სოციალ-დემოკრატიული კავშირი — ბუნდი.

1898 წელს რამდენიმე „ბრძოლის კავშირმა“, პეტერბურგისამ, მოსკოვისამ, კიევისამ, ეკატერინოსლავისამ და ბუნდმა მოახდინეს პირველი ცდა გაერთიანებულიყვნენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიად. ამ მიზნით ისინი 1898 წლის მარტში შეიკრიბნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) I ყრილობაზე მინსკში.

რსდმპ I ყრილობაზე სულ იყო 9 მონაწილე. ლენინი ყრილობას არ დასწრებია, რადგან იგი მაშინ გადასახლებული იყო ციმბირში. პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელიც ყრილობაზე აირჩიეს, მალე დაპატიმრებულ იქნა. ყრილობის სახელით გამოშვებული „მანიფესტი“ ბევრი მხრივ ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელი იყო. მასში გვერდი ჰქონდა ავლილი პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების ამოცანას, არაფერი იყო ნათქვამი პროლეტარიატის ჰეგემონიაზე, გვერდი ჰქონდა ავლილი საკითხს პროლეტარიატის მოკავშირეების შესახებ მის ბრძოლაში ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ყრილობამ თავის გადაწყვეტილებებსა და „მანიფესტში“ გამოაცხადა რუსეთის სოციალ - დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნა.

ამ ფორმალურ აქტში, რომელმაც დიდი რევოლუციურ - პროპაგანდისტული როლი შეასრულა, მდგომარეობდა რსდმპ I ყრილობის მნიშვნელობა.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ I ყრილობა შესდგა, საქმით მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული პარტია რუსეთში ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი. ყრილობამ ვერ შესძლო გაეერთიანებინა და ორგანიზაციულად შეეკავშირებინა ცალკეული მარქსისტული წრეები და ორგანიზაციები. ჯერ კიდევ არ იყო ერთიანი ხაზი ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობაში, არ იყო პარტიის პროგრამა, პარტიის წესდება, არ იყო ხელმძღვანელობა ერთი ცენტრიდან.

ამის გამო და მთელი რიგი სხვა მიზეზების ძალით ადგილობრივ ორგანიზაციებში ძლიერდებოდა იდეური დაბნეულობა, ამ გარემოებამ კი შეჰქმნა ხელსაყრელი პირობები ოპორტუნისტული მიმდინარეობის — „ეკონომიზმის“ გასაძლიერებლად მუშათა მოძრაობაში.

საჭირო გახდა ლენინისა და მის მიერ დაარსებულ გაზეთ „ისკრის“ რამდენიმე წლის დაძაბული მუშაობა დაბნეულობის დასაძლევად, ოპორტუნისტული ქანაობის დასაძლევად და რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნის მოსამზადებლად.

5. ლენინის ბრძოლა „ეკონომიზმთან“. ლენინის გაზეთ „ისკრის“ გამოსვლა

რსდმპ I ყრილობას ლენინი არ დასწრებია. იგი მაშინ გადასახლებული იყო ციმბირში, სოფელ შუშენსკოეში, სადაც იგი განდევნა მეფის მთავრობამ „ბრძოლის კავშირის“ საქმეზე პეტერბურგის საპყრობილეში დიდ ხანს ყოფნის შემდეგ.

მაგრამ გადასახლებაშიც ლენინი განაგრძობდა რევოლუციურ მუშაობას. გადასახლებაში ლენინმა დაამთავრა უმნიშვნელოვანესი მეცნიერული შრომა „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, რომელმაც დააგვირგვინა ნაროდნიკობის იდეური განადგურება. იქვე დასწერა მან ცნობილი ბროშურა „რუსეთის სოციალ-დემოკრატების ამოცანები“.

მიუხედავად იმისა, რომ ლენინი მოწყვეტილი იყო უშუალო რევოლუციურ-პრაქტიკულ მუშაობას, მან მაინც შესძლო შეენარჩუნებინა ზოგიერთი კავშირურთიერთობა პრაქტიკოსებთან, მიწერ-მოწერა ჰქონდა მათთან, გადასახლებიდან გზავნიდა შეკითხვებს, აძლევდა მათ რჩევა-დარიგებას. ლენინს მაშინ განსაკუთრებით აინტერესებდა საკითხი „ეკონომისტების“ შესახებ. მას უკეთ, ვიდრე ვინმე სხვას, ესმოდა, რომ „ეკონომიზმი“ არის შემთანხმებლობის, ოპორტუნიზმის ძირითადი უჯრედი, რომ „ეკონომიზმის“ გამარჯვება მუშათა მოძრაობაში იქნება პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობისათვის ძირის გამოთხრა, მარქსიზმის დამარცხება.

და ლენინმა იწყო „ეკონომისტების“ განადგურება მათი გამოჩენის პირველი დღეებიდანვე.

„ეკონომისტები“ ამტკიცებდნენ, რომ მუშებმა მხოლოდ ეკონომიური ბრძოლა უნდა აწარმოონ, რაც შეეხება პოლიტიკურ ბრძოლას, დაე იგი აწარმოოს ლიბერალურმა ბურჟუაზიამ, რომელსაც მუშებმა მხარი უნდა დაუჭირონო. ლენინს „ეკონომისტების“ ამგვარი ქადაგება მიაჩნდა მარქსიზმისაგან განდგომად, მუშათა კლასისათვის დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიის აუცილებლობის უარყოფად, იმის ცდად, რომ გადაექციათ მუშათა კლასი ბურჟუაზიის პოლიტიკურ დანამატად.

1899 წელს „ეკონომისტების“ ჯგუფმა (პროკოპოვიჩი, კუსკოვა და სხვები, რომლებიც შემდეგ კადეტები გახდნენ) გამოუშვა თავისი მანიფესტი. მათ გაილაშქრეს რევოლუციური მარქსიზმის წინააღმდეგ და მოითხოვეს პროლეტარიატის დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიის შექმნაზე ხელისაღება, მუშათა კლასის დამოუკიდებელ პოლიტიკურ მოთხოვნებზე ხელისაღება. „ეკონომისტები“ სთვლიდნენ, რომ პოლიტიკური ბრძოლა — ეს ლიბერალური ბურჟუაზიის საქმეა, რაც შეეხება მუშებს მათთვის მეწარმეებთან ეკონომიური ბრძოლაც საკმარისიაო.

როდესაც ლენინი გაეცნო ამ ოპორტუნისტულ დოკუმენტს, მან მოიწვია ახლო-მახლო მყოფი პოლიტიკურ გადასახლებულ მარქსისტთა თათბირი, და 17 ამხანაგმა ლენინის მეთაურობით მკაცრი მამხილებელი პროტესტი გამოიტანა „ეკონომისტების“ შეხედულებათა წინააღმდეგ.

ეს პროტესტი, დაწერილი ლენინის მიერ, გავრცელებულ იქნა მთელი რუსეთის მარქსისტულ ორგანიზაციებში, და მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მარქსისტული აზროვნებისა და მარქსისტული პარტიის განვითარებისათვის რუსეთში.

რუსეთის „ეკონომისტები“ იმავე შეხედულებებს ჰქადაგებდნენ, რასაც ქადაგებდნენ მარქსიზმის მოწინააღმდეგენი საზღვარგარეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიებში, ეგრეთწოდებული ბერნშტეინელები, ე. ი. ოპორტუნისტ ბერნშტეინის მომხრეები.

ამიტომ ლენინის ბრძოლა „ეკონომისტების“ წინააღმდეგ ამავე დროს იყო ბრძოლა საერთაშორისო ოპორტუნიზმის წინააღმდეგ.

ძირითადი ბრძოლა „ეკონომიზმის“ წინააღმდეგ, პროლეტარიატის დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიის შექმნისათვის ჩაატარა ლენინის მიერ დაარსებულმა არალეგალურმა გაზეთმა „ისკრამ“.

1900 წლის დამდეგს ლენინი და „ბრძოლის კავშირის“ სხვა წევრები ციმბირში გადასახლებიდან რუსეთს დაბრუნდნენ. ლენინმა განიზრახა შეექმნა დიდი საერთო-რუსული არალეგალური მარქსისტული გაზეთი. მრავალი მარქსისტული წრეები და ორგანიზაციები, რომლებიც რუსეთში უკვე არსებობდნენ, ჯერ კიდევ არ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი. ამ მომენტში, როდესაც ამხანაგ სტალინის თქმით, „კუსტარულობა და წრეობანა ღრღნიდნენ პარტიას თავიდან ბოლომდე, როდესაც იდეური დაბნეულობა პარტიის შინაგანი ცხოვრების დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა“, საერთო-რუსული არალეგალური გაზეთის შექმნა რუსეთის რევოლუციური მარქსისტების ძირითადი ამოცანა იყო. მხოლოდ ასეთ გაზეთს შეეძლო დაეკავშირებინა ერთმანეთთან დაქსაქსული მარქსისტული ორგანიზაციები და მოემზადებინა ნამდვილი პარტიის შექმნა.

მაგრამ ასეთი გაზეთის შექმნა მეფის რუსეთში, პოლიციური დევნის გამო, შეუძლებელი იყო. ერთიორი თვის შემდეგ გაზეთს მიაგნებდნენ მეფის ჯაშუშები და გაანადგურებდნენ. ამიტომ ლენინმა გადასწყვიტა გამოეცა იგი საზღვარგარეთ. აქ გაზეთი მეტად თხელ და გამძლე ქაღალდზე იბეჭდებოდა და ფარულად იგზავნებოდა რუსეთში. „ისკრის“ ცალკეული ნომრები ხელახლა იბეჭდებოდა რუსეთში, ბაქოს, კიშინიოვის, ციმბირის ფარულ სტამბებში.

1900 წლის შემოდგომაზე ვლადიმირ ილიჩი გაემგზავრა საზღვარგარეთ, რათა შეთანხმებოდა „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფში შემავალ ამხანაგებს საერ-

(გაგრძელება იხ. მე-4 გვ.)

გაგრძელება

თო-რუსული პოლიტიკური გაზეთის გამოცემის შესახებ. ეს აზრი ლენინის მიერ დეტალურად, ყოველმხრივ მოფიქრებულ იქნა გადასახლების დროს. როცა ლენინი გადასახლებიდან ბრუნდებოდა, მან ამ საკითხის შესახებ მოაწყო მთელი რიგი თათბირები უფაში, პსკოვში, მოსკოვში, პეტერბურგში. ყველგან იგი უთანხმდებოდა ამხანაგებს საიდუმლო მიწერ-მოწერის შიფრებზე, მისამართებზე ლიტერატურის გამოსაგზავნად და სხვ. და მათთან იხილავდა მომავალი ბრძოლის გეგმას.

მეფის მთავრობა გრძნობდა, რომ ლენინის სახით მას უაღრესად საშიში მტერი ჰყავს. თავის საიდუმლო მიწერ-მოწერაში მეფის ოხრანნიკი, ჟანდარმი ზუბატოვი, სწერდა, რომ „რევოლუციაში ამჟამად ულიანოვზე უფრო დიდი არავინ არისო", რის გამო მას მიზანშეწონილად მიაჩნდა ლენინის მოკვლის მოწყობა.

საზღვარგარეთ ჩასვლის შემდეგ ლენინი შეუთანხმდა „შრომის განთავისუფლების" ჯგუფს, ესე იგი პლეხანოვს, აქსელროდს, ვ. ზასულიჩს, „ისკრის" ერთად გამოცემის შესახებ. გამოცემის მთელი გეგმა თავიდან ბოლომდე ლენინის მიერ იყო დამუშავებული.

1900 წლის დეკემბერში საზღვარგარეთ გამოვიდა გაზეთ „ისკრის" პირველი ნომერი. გაზეთის სათაურქვეშ იყო გამოთქმა (ეპიგრაფი): **„ნაპერწკლიდან ალი აინთება".** ეს სიტყვები აღებულია დეკაბრისტების პასუხიდან პოეტ პუშკინისადმი, რომელმაც მათ მისალმება გაუგზავნა ციმბირში, სადაც ისინი გადასახლებული იყვნენ.

და მართლაც, ლენინის მიერ დანთებული „ნაპერწკლიდან" („ისკრიდან") შემდეგში აინთო დიადი რევოლუციური ხანძრის ალი, რომელმაც სულერთიანად გადაბუგა მეფის თავადაზნაურულ-მემამულური მონარქია და ბურჟუაზიული ძალაუფლება.

მოკლე დასკვნები

1 მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია რუსეთში იქმნებოდა უწინარეს ყოვლისა ნაროდნიკობის, იმის შემცდარ და რევოლუციის საქმისათვის მავნე შეხედულებათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

მხოლოდ იმით, თუ იდეურად გაცამტვერებული იქნებოდა ნაროდნიკების შეხედულებანი, შეიძლებოდა ნიადაგის გაწმენდა მარქსისტული მუშათა პარტიის შექმნისათვის რუსეთში. გადამწყვეტი ლახვარი ნაროდნიკობას ჩასცეს გასული საუკუნის 80-იან წლებში პლეხანოვმა და მისმა „შრომის განთავისუფლების" ჯგუფმა.

ლენინმა 90-იან წლებში დაამთავრა ნაროდნიკობის იდეური განადგურება, საბოლოოდ დაამარცხა ნაროდნიკობა.

„შრომის განთავისუფლების" ჯგუფმა, რომელიც დაარსებულ იქნა 1883 წელს, დიდი მუშაობა გასწია მარქსიზმის გასავრცელებლად რუსეთში, თეორიულად დაარსა სოციალ-დემოკრატია და გადადგა პირველი ნაბიჯი მუშათა მოძრაობისაკენ.

რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად სწრაფად იზრდებოდა სამრეწველო პროლეტარიატის რიცხვი. 80-იან წლების შუახანებში მუშათა კლასი ორგანიზებული გაფიცვების სახით, დაადგა ორგანიზებული ბრძოლის გზას, მასობრივი გამოსვლების გზას. მაგრამ მარქსისტული წრეები და ჯგუფები მხოლოდ პროპაგანდას ეწეოდნენ, მათ არ ესმოდათ მუშათა კლასში მასობრივ აგიტაციაზე გადასვლის მიზანშეწონილება და, ამიტომ, პრაქტიკულად ჯერ კიდევ არ იყვნენ დაკავშირებულნი მუშათა მოძრაობასთან, არ ხელმძღვანელობდნენ მას. ლენინის მიერ პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის" შექმნა (1895 წელი), კავშირისა, რომელმაც გაჩაღა მასობრივი აგიტაცია მუშებს შორის და რომელიც ხელმძღვანელობდა მასობრივ გაფიცვებს, მოასწავებდა ახალ ეტაპს—მუშებს შორის მასობრივ აგიტაციაზე გადასვლას და მარქსიზმის შეერთებას მუშათა მოძრაობასთან. პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი" იყო რევოლუციური პროლეტარული პარტიის პირველი ჩანასახი რუსეთში. პეტერბურგის „ბრძოლის კავშირის" შემდეგ მარქსისტების ორგანიზაციები შეიქმნა ყველა მთავარ სამრეწველო ცენტრებში, აგრეთვე განაპირა მხარეებშიც.

1898 წელს განხორციელებულ იქნა მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პარტიად გაერთიანების პირველი, თუმცა არაწარმატებითი ცდა—შესდგა რსდმპ I ყრილობა. მაგრამ ამ ყრილობამ ჯერ კიდევ ვერ შექმნა პარტია: არ იყო პარტიის არც პროგრამა, არც წესდება, არც ხელმძღვანელობა ერთი ცენტრიდან, არ იყო თითქმის არავითარი კავშირი ცალკეულ მარქსისტულ წრეებსა და ჯგუფებს შორის.

დაქსაქსული მარქსისტული ორგანიზაციები რომ ერთ პარტიად გაეერთიანებინა და ერთმანეთთან დაეკავშირებინა, ლენინმა წამოაყენა და განახორციელა რევოლუციური მარქსისტების პირველი საერთო-რუსული გაზეთის — „ისკრის" შექმნის გეგმა.

ერთიანი პოლიტიკური მუშათა პარტიის შექმნის მთავარი მოწინააღმდეგენი ამ პერიოდში იყვნენ „ეკონომისტები". ისინი უარჰყოფდნენ ასეთი პარტიის აუცილებლობას. ისინი მომხრენი იყვნენ დაქსაქსულობისა და ცალკეული ჯგუფების კუსტარულობისა. სწორედ მათ წინააღმდეგ მიმართეს თავისი იერიში ლენინმა და მის მიერ დაარსებულმა „ისკრამ".

„ისკრის" პირველი ნომრების გამოშვება (1900-1901 წლები) იყო ახალ პერიოდზე გადასვლა — დაქსაქსული ჯგუფებისა და წრეებიდან რუსეთის ერთიანი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ნამდვილი შექმნის პერიოდზე გადასვლა.

მდგომარეობა ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 11 სექტემბერი (საკდესი). პრეზიდენტ ბენეშის სიტყვას, რომელიც მან რადიოთი წარმოსთქვა, ჩეხოსლოვაკიის ხალხის ფართო მასები დიდი მოწონებით შეხვდნენ. რესპუბლიკის ქალაქების — პრაღის, ბრნოს, ბრატისლავისა და სხვა ქალაქთა ქუჩებში გუშინ ჯგუფ-ჯგუფად იდგა ხალხი, რომელიც ისმენდა პრეზიდენტის სიტყვას. სიტყვის დამთავრების შემდეგ პრაღაში გაიმართა მუშების, ლეგიონერების სასპორტო კავშირის „შევარდენის" წევრთა მოწაფეებისა და სხვების მრავალათასიანი დემონსტრაცია. დემონსტრანტები გაიძახოდნენ ლოზუნგებს: „ჩვენ არ დავნებდებით", „შეიარაღებულ თავდასხმაზე ვუპასუხებთ მთელი ხალხის გაბედული წინააღმდეგობით" და სხვ. ასეთივე დემონსტრაციები გაიმართა ბრნოში, ბრატისლავსა, პილზენსა და სხვა ქალაქებში. მთელი პრესა აქვეყნებს პრეზიდენტის სიტყვას და მოუწოდებს ხალხს მშვიდობიანობისაკენ და ომის გამჩაღებელთა პროვოკაციების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

ჩეხოსლოვაკელი ხალხისათვის პრეზიდენტის გუშინდელი სიტყვა გაისმა, როგორც მოწოდება ერთიანობის, სიდინჯისა და სიმშვიდისაკენ. ჰენლაინელებმა კი, გუშინ ნიურნბერგში გამოსული ჰერინგის მოწოდებით, გააძლიერეს პროვოკაცია და სამოქალაქო ომის მზადება.

გუშინ ქალაქ პოდმოკლიში კვლავ გაიმართა ჰენლაინელთა „დემონსტრაცია". ისინი მოითხოვდნენ გერმანიასთან სუდეტის ოლქის შეერთებას. პოლიციას, რომელიც ცდილობდა დემონსტრანტების გაფანტვას, ქვები დაუშინეს. დაშავდა 6 პოლიციელი. ორი ანტიფაშისტი დაჭრილია. ჟანდარმერიის გაძლიერებულმა რაზმმა გაჰფანტა პროვოკატორები.

ერთგან ფაშისტმა მოიერიშეებმა გააჩერეს გზატკეცილზე მიმავალი ავტომობილი პოლიციის ინსპექტორისა, ინსპექტორი მანქანიდან გადმოათრიეს და სცემეს.

ქალაქ ფრიდვერკში „დემონსტრანტმა" ჰენლაინელებმა, რომელნიც პლებისციტს მოითხოვდნენ და ფაშისტურ სიმღერებს მღეროდნენ, სცემეს 4 პოლიციელსა და ცდილობდნენ ადგილობრივი საპოლიციო უბნის დარბევას. ჰენლაინელები გაიფანტნენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც შენობაში მყოფმა პოლიციელთა რაზმმა ჰაერში გაისროლა.

გუშინ ქალაქ გლუჩინის ჩეხოსლოვაკური სკოლის შენობაში მოხდა აფეთქება, რამაც უდიდესი ზარალი გამოიწვია. ბავშვთა შორის არავინ დაშავებულა. აფეთქება ჰენლაინელ პროვოკატორთა საქმეა.

ჰენლაინელთა „დემონსტრაციები", რომლებიც ანტიფაშისტებთან და პოლიციელებთან შეტაკებით დამთავრდა, გუშინ გაიმართა აგრეთვე მთელ რიგ სხვა ქალაქებში.

ჰენლაინელთა პროვოკაციების გაძლიერებასთან დაკავშირებით, პოლიცია იძულებული იყო ახალი დაპატიმრებანი მოეხდინა მთელ რიგ ადგილებში. ჰენლაინელთა პრესა დღეს კვლავ გაჰყვირის ჩეხოსლოვაკიის პოლიციის „ტერორის" შესახებ. როგორც ჩანს, ამ უკანასკნელი დღეების პროვოკაციები არის რგოლები „სუდეტელ გერმანელთა პრობლემის" გადაწყვეტის ეგრეთწოდებული „ესპანური ვარიანტისა", რომლის განხორციელებასაც ჰენლაინელები, ეტყობა, უკვე შეუდგნენ. („ესპანური ვარიანტი" მდგომარეობს ჰენლაინელთა შეიარაღებული გამოსვლის მოწყობაში ჩეხოსლოვაკიის შიგნით, ფაშისტური გერმანიის დახმარებით).

გერმანიის ჯარების კონცენტრაცია ჩეხოსლოვაკიისა და საფრანგეთის საზღვრებზე

ლონდონი, 12 სექტემბერი (საკდესი). გაზ. „დეილი მეილის" ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე თავმოყრილია გერმანიის დიდძალი ჯარი. ჯარების დიდი გადაჯგუფება ხდება ამ ბოლო დღეებში რეინის ზონაში. რეინის მარჯვენა ნაპირზე თავმოყრილია დიდძალი ჯარი და დიდძალი მძიმე არტილერია.

რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ადასტურებს ამ ცნობას და აღნიშნავს, რომ გერმანიის ჯარების კონცენტრაციის მთავარი პუნქტია საარბრიუკენი.

საომარი მზადება ევროპაში

ჟენევა, 12 სექტემბერი (საკდესი). შვეიცარიის მთავრობამ დღეს გასცა განკარგულება, რათა დანაღმონ გზების და სარკინიგზო ლიანდაგის ყველა უბანი, რომლებიც უშუალოდ ეკვრიან საზღვრებს. ყველა ამ უბანზე განლაგებულია მესაზღვრეთა ჯარების რაზმები. მოსახლეობას წინადადება მიეცა მტკიცედ დაიცვას სამხედრო საგუშაგოთა მითითებანი.

პარიზი, 12 სექტემბერი (საკდესი). ევროპის სხვადასხვა დედაქალაქებიდან აქ მოდის ცნობები სიფრთხილის იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებსაც მთავრობები მიმართავენ უაღრესად გამწვავებული საერთაშორისო სიტუაციისა და საერთო ევროპული ომის გაზრდილი საშიშროების გამო.

ბერნიდან (შვეიცარია) იუწყებიან, რომ ფედერალურმა საბჭომ მიანდო სამხედრო უწყებას, 12 სექტემბრიდან დაწყებული, მიიღოს გამაფრთხილებელი ზომები და დანაღმოს საზღვრისაკენ მიმავალი გზები იმ ანგარიშით, რომ საჭიროების შემთხვევაში საშუალება ექნეთ სწრაფად შესწყვიტონ მიმოსვლა საზღვარგარეთთან როგორც გზატკეცილებით, ისე რკინიგზებითაც. სწორედ ასევე ხდება ხიდების დანაღმვა.

ბრიუსელიდან (ბელგია) გადმოგვცემენ, რომ ბელგიის აღმოსავლეთის საზღვრის რაიონში, 10 სექტემბრიდან დაწყებული, გაძლიერებულია მესაზღვრეთა საგუშაგოები. მესამე საარტილერიო ლეგიონი, რომელიც ელზენბორნის ბანაკში იმყოფებოდა, 11 სექტემბერს, დილით ლიეჟში დაბრუნდა.

ინგლისის პრესა ინგლისის მთავრობის პოზიციის შესახებ

ლონდონი, 11 სექტემბერი (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ ამას წინათ მთელი რიგი გაზეთები იუწყებოდნენ, ინგლისის მთავრობას განზრახვა აქვს ნოტა გაუგზავნოს გერმანიასო, ინგლისის პრესა დღეს აღნიშნავს, რომ მთავრობას არავითარი ნოტა არ გაუგზავნია გერმანიისათვის და საქმის ვითარება არსებითად არ შეცვლილა.

„სენდეი ტაიმსის" დიპლომატიური მიმომხილველის სიტყვით, ინგლისის მთავრობა ჩეხოსლოვაკიის საკითხის შესახებ წინანდელსავე პოზიციაზე რჩება. „მთავრობას არ მიუღია არავითარი გადაწყვეტილება, რომელიც რამეს ავალებდეს ინგლისს, თუ ცენტრალურ ევროპაში ომი ასტყდა".

შემდეგ მიმომხილველი იუწყება, რომ ფაშისტური გერმანიის მმართველებს ვითომ აგრძნობინეს, რომ ინგლისი გამოვა საფრანგეთის მხარეზე ყოველ კონფლიქტში, რომელიც კი საფრანგეთის მთლიანობას დაემუქრება. ეს გადასცა ჰენდერსონმა რიბენტროპს.

ინგლისის მინისტრები გუშინ,— განაგრძობს მიმომხილველი, — ეტყობა, იხილავდნენ აგრეთვე ინგლისის პრაღელი ელჩის ცნობას იმ განცხადების შესახებ, რომლითაც მას მიჰმართა ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტმა ბენეშმა. ჩეხოსლოვაკიის მთავრობა,—განაცხადა ბენეშმა, — არასოდეს არ წავიდოდა ასეთ დათმობებზე, ინგლისის მხრივ რომ ზეგავლენა არ ყოფილიყო. მაგრამ,— განაგრძო მან,—ეს, ეტყობა, ლონდონში სავსებით როდი ესმით. რამდენადაც ჩეხოსლოვაკიის მთავრობა ამ დათმობებზე წავიდა მხოლოდ უწინარეს ყოვლისა ინგლისის, შემდეგ კი საფრანგეთის დაჟინებითი მოთხოვნით,— აღნიშნა ბენეშმა.— ჩეხოსლოვაკიის მთავრობას ეს დათმობანი მხოლოდ იმ პირობით შეუძლია მოიწონოს, თუ ინგლისი და საფრანგეთი იკისრებენ პასუხისმგებლობას ყველა იმ შედეგისათვის, რაც შეიძლება მოჰყვეს შექმნილ მდგომარეობას.

* * *

ლონდონი, 12 სექტემბერი (საკდესი). დღეს ინგლისის პრესა ფართოდ აქვეყნებს რეიტერის სააგენტოს ნახევრადოფიციოზურ განცხადებას, რომელშიც გაშუქებულია ინგლისის მთავრობის პოზიცია ჩეხოსლოვაკიის საკითხში.

„დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის" დიპლომატიური მიმომხილველი სწერს, რომ ინგლისის ნოტა გერმანიის მიმართ ჯერ კიდევ 10 სექტემბერს მზად იყო ბერლინში გასაგზავნად. მაგრამ შემდეგ მიღებულ იქნა ინგლისის ბერლინელი ელჩის ჰენდერსონის ცნობა, რომელშიც მან დაარწმუნა ინგლისის მთავრობა იმაში, რომ უკანასკნელის თვალსაზრისი მან სავსებით გააცნო გერმანიის მთავრობის წრეების წარმომადგენლებს.

როგორც „დეილი მეილის" პოლიტიკური მიმომხილველი ამტკიცებს, გერმანიის მთავრობამ ჰენდერსონი დაარწმუნა, რომ თითქოს მას განზრახული არა აქვს დაიწყოს ევროპის ომი და სუდეტელ გერმანელთა პრობლემის მშვიდობიანი გზით გადაჭრას ამჯობინებს.

„დეილი მეილი" და „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი" აცხადებენ, რომ ინგლისის კაბინეტის შემადგენლობაში არ არის სრული ერთსულოვნება ჩეხოსლოვაკიის საკითხში. ზოგიერთი ინგლისელი მინისტრი ფიქრობს, — სწერს „დეილი მეილის" პოლიტიკური მიმომხილველი, რომ საჭიროა გარკვეული აზრი გამოითქვას ინგლისის მთავრობის პოზიციის შესახებ „ნოტის სახით, რომელიც უნდა გაიგზავნოს ბერლინში". „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის" დიპლომატიური მიმომხილველიც აგრეთვე სწერს, რომ „ზოგიერთ ავტორიტეტულ წრეებს არ აკმაყოფილებს ჰენდერსონის რწმუნება".

„დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი" ადასტურებს ინგლისის პრესის გუშინდელ ცნობებს ჩეხოსლოვაკიის მთავრობის განცხადების შესახებ, რომ მან დათმობათა საზღვარს მიაღწია. „ჩეხოსლოვაკიის მთავრობა, — განაგრძობს გაზეთი, —თვლის, რომ ინგლისს განსაზღვრული პასუხისმგებლობა აწევს შექმნილი ვითარებისათვის. იგი კითხვას აყენებს, რა დაპირებებსა და გარანტიებს უნდა მოელოდეს ჩეხოსლოვაკია ინგლისის მთავრობისაგან. მაგრამ ჩეხოსლოვაკიის მთავრობის ამ შეკითხვის პასუხი დღემდე არ არის მიღებული".

რეიტერის სააგენტოს ცნობები

ლონდონი, 12 სექტემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, „ინგლისის მინისტრებს ეჭვი არ ეპარებათ იმაში, რომ ინგლისის ბერლინელმა ელჩმა ჰენდერსონმა, რომელიც ნიურნბერგში ესაუბრა გერმანიის ხელმძღვანელ წრეებს, მთლიანად გააცნო მათ ინგლისის მთავრობის პოზიცია ჩეხოსლოვაკიის საკითხში". „ჰფიქრობენ, —სწერს სააგენტო, — გერმანელთა წრეებს შეატყობინებენ, რომ მათ არავითარი ილუზიები არ ჰქონდეთ იმ განზრახვების სერიოზულობის შესახებ, რომლებიც გადმოცემულია ჩემბერლენის 24 მარტისა და საიმონის 27 აგვისტოს სიტყვებში. ამიტომ გერმანიის მთავრობამ არ უნდა იფიქროს, რომ ჩეხოსლოვაკიაზე თავდასხმას სერიოზული შედეგები არ მოჰყვება და რომ საქმეში არ ჩაერევა ჯერ საფრანგეთი, შემდეგ კი ინგლისიც. ინგლისის ტრადიციული პოლიტიკა საფრანგეთთან თანამშრომლობისა ყოველთვის აღიარებდა, რომ საფრანგეთის უშიშროება მჭიდროდ არის დაკავშირებული ინგლისის უშიშროებასთან. თუმცა ლონდონში შესაძლებლად მიაჩნიათ ჩეხოსლოვაკიის მთავრობის წინადადებათა განმარტება ან ერთგვარი შეცვლა, მიუხედავად ამისა, ჰფიქრობენ, რომ არავითარი გამართლება არ შეიძლება ექნეს მოლაპარაკების განახლებაზე უარისთქმას და სუდეტის პრობლემის ძალდატანებით გადაჭრას. ლონდონის აზრით, ისეთ დიდ წარმატებათა შემდეგ, რომლებიც მიღწეულია სუდეტის პრობლემის მშვიდობიანი გზით გადაჭრის საქმეში, ჩეხოსლოვაკიის მიმართ ძალის გამოყენება დაგმობილი იქნება ყველა ქვეყნის მიერ. არავითარი მიზეზი არ არსებობს, რომ უარყოფილ იქნას შუამდგომლობა ან სხვა გზები სუდეტის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრისათვის".

ნეკროლოგი

ამხ. სეონ თოხაძე

1938 წლის 11 სექტემბერს, გარდაიცვალა საქ. სახ. ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის დირექტორი ამხ. სეონ ესტატეს-ძე თოხაძე.

ახალგაზრდა, ენერგიით აღსავსე მუშაკი, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის რიგებში გამოწრთობილი და საბჭოთა ხელისუფლების უსაზღვროდ ერთგული, იგი უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში მტკიცედ და ნაყოფიერად ხელმძღვანელობდა სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტს — სოციალისტური მეცხოველეობისათვის კადრების აღმზრდელ კერას.

ჯერ ისევ თბილისის ტექნიკური სასწავლებლის მოწაფე, იგი 1919 წლიდან კომკავშირის არალეგალური ორგანიზაციის წევრია, 1922 წელს საკ. კ. პ. (ბ) კანდიდატთა რიგებში გადადის, ხოლო 1924 წლიდან პარტიის წევრი ხდება.

1914 წელს—ქალაქ ფოთში სტამბის მუშა, 1916 წელს—ქალაქ ბათუმში სახელოსნო სასწავლებლის მუშა, 1922 წელს — წითელარმიელი, 1923 წელს — თელავის მაზრის აღმასკომის პრეზიდიუმის წევრი და პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო 1926-დან 1929 წლამდე ჯერ საქ. სახელმწიფო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების პროფკავშირის პრეზიდიუმის წევრი, შემდეგ კი საქ. ხელოვნების მუშაკთა ცენტრალური კავშირის თავმჯდომარე, განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი და ხელოვნების მთავარი სამმართველოს უფროსი—ასეთია ცალკეული ეტაპები ამხ. სეონის მუშაობისა.

1932 წლიდან, სას.-სამ. ინსტიტუტის ზოოტექნიკური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, იგი ახლად დაარსებული ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის დირექტორია და თავდადებული მუშაობის, პასუხისმგებლობის შეგნების, ამხანაგების და მოსწავლეთა მიმართ გულთბილი დამოკიდებულების პირადი მაგალითით სამართლიანად დაიმსახურა მტკიცე და მომაგე ხელმძღვანელის სახელი, სოციალისტური სოფლის მეურნეობისათვის კადრების მომზადების დარგში აქტიური მუშაკის სახელი.

მისი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მის მეგობართა, თანამშრომელთა და ინსტიტუტის სტუდენტების გულში.

ს. ხოშტარია, გ. ალავიძე, ა. ზარნაძე, ვლ. კობახიძე, ნ. კობახიძე, ნ. ცომაია, ნ. გელაშვილი, ი. დიხამინჯია, პროფ. დ. აგლაძე, პროფ. დ. იაშვილი, დოც. ერქომაიშვილი, პ. ჯაფარიძე.

ინგლისი და ჩეხოსლოვაკიაში შექმნილი მდგომარეობა

(წერილი ლონდონიდან)

პოლიტიკური დაძაბულობა ინგლისში, ცენტრალური ევროპის ამბებთან დაკავშირებით, აშკარად ძლიერდება. გაზეთები აღსავსეა ჩეხოსლოვაკიაში შექმნილი მდგომარეობისადმი მიძღვნილი სტატიებითა და ცნობებით. პრესის კილო შეშფოთებულია. ისეთი ორგანოებიც კი, როგორიცაა „დეილი მეილი" და „ობსერვერი", რომლებიც დღემდე ცნობილნი არიან გერმანიის ფაშიზმის წინაშე ქედის მოხრით, ვერ მალავენ თავის შეშფოთებას. ბირჟა ციებ-ცხელებითაა შეპყრობილი. გირვანქა სტერლინგის კურსი ეცემა.

საზოგადოებრივ განწყობილებაში მომხდარი დიდი ძვრები ჯერ კიდევ ვერ ჰპოულობენ თავის გამოხატულებას ინგლისის ოფიციალურ პოლიტიკაში ჩეხოსლოვაკიის მიმართ. ეს პოლიტიკა გამომდინარეობს საერთაშორისო საკითხებში ახლანდელი კაბინეტის საერთო გეზიდან, რომელიც მოკლედ შემდეგნაირად შეიძლება იქნას ფორმულირებული: აგრესორებთან გარიგების დადება მესამე ქვეყნების ხარჯზე. ამ პოლიტიკის შედეგები ესპანეთის მაგალითის მიხედვით ყველასათვის თვალსაჩინოა. იმავე პოლიტიკის ნაყოფი ცენტრალურ ევროპაში დღითი-დღე სულ უფროდაუფრო ნათელი ხდება.

და მართლაც, თუ თვალს გადავავლებთ ინგლისის მთავრობის საქციელს ჩეხოსლოვაკიის მიმართ უკანასკნელი ნახევარი წლის მანძილზე, სურათი განსაკუთრებით ნათელი გახდება. ავსტრიის ნაძალადევად დაპყრობისთანავე ლონდონის კაბინეტი დიდად აღელდა. იგი უსაფუძვლოდ როდი შიშობდა, რომ გერმანიის ფაშიზმი თავის შემდგომ ნახტომს ჩეხოსლოვაკიისაკენ გააკეთებდა. უკანასკნელი კი სამხედრო კავშირით არის დაკავშირებული საფრანგეთთან, რომელიც ვალდებულია დაეხმაროს ჩეხოსლოვაკიას გერმანიის აგრესიის შემთხვევაში. მაგრამ თუ საფრანგეთი დაიწყებს ომს გერმანიასთან, ინგლისს არ შეუძლია განზე გადგეს, ვინაიდან უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული და პოლიტიკური ინტერესები ამ უკანასკნელისათვის აბსოლუტურად შეუძლებელს ხდიან საფრანგეთის ტერიტორიული ხელშეუხებლობის შენარჩუნებას. „დასავლეთის დემოკრატიების" ომი გერმანიის წინააღმდეგ სასიკვდილო ლახვარს ჩასცემდა ინგლისის კაბინეტის მთელს გეგმებს, რომლებიც მიმართულია იმისაკენ, რომ სასწრაფოდ შეუთანხმდეს აგრესორებს.

ასეთი პერსპექტივების წინაშე მდგარმა ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა სწრაფად იმოქმედოს. მაგრამ როგორ? პასუხი ძალიან ადვილად იქნა ნაპოვნი. საჭიროა, რადაც უნდა დაჯდეს, თავიდან აიცილოს ომი საფრანგეთსა და გერმანიას შორის. ხოლო ამისათვის თავის მხრივ უნდა აიძულოს ჩეხოსლოვაკია უბრძოლველად დააკმაყოფილოს ჰიტლერის ყველა მოთხოვნა. არაუშავს, თუ ჩეხოსლოვაკია ამით დაზარალდება, შეიძლება მან დაჰკარგოს კიდეც თავისი ტერიტორიული მთლიანობა და თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა. მცირე ქვეყნები ხომ იმისათვის არსებობენ, რომ ხურდა ფულის როლი ითამაშონ დიდ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის დადებულ გარიგებებში. და აი იწყება სისტემატური ზეგავლენის მოხდენა ჩეხოსლოვაკიასა და საფრანგეთზე. ინგლისის მთავრობა პრაღისაგან მუდამ მოითხოვდა დათმობებს და ახალ დათმობებს, ხოლო საფრანგეთს ურჩევდა არ აღელვებულიყო და დაეცადნა დიდი ბრიტანეთის „ბრძნული" პოლიტიკის ნაყოფისათვის. ერთსადაიმავე დროს ლონდონი პარიზისაგან მოითხოვდა „მეგობრულ თანამშრომლობას" პრაღის „ალაგმვის" საქმეში და, საფრანგეთიც სამარცხვინოდ, ღებულობდა მას. ამის შედეგად „დასავლეთის დიდი დემოკრატიები" მთელი ზაფხულის განმავლობაში მხოლოდ იმას ცდილობდნენ, რათა აეძულებინათ ცენტრალური ევროპის „მცირე", მაგრამ მამაცი დემოკრატია ქედი მოეხარა ჰიტლერის წინაშე. აქედან წარმოიშვა რენსიმენის ყბადაღებული მისია. აქედან წარმოიშვა სუდეტის პრობლემის მოწესრიგების ყველა ეს უამრავი „გეგმა", რომელთა მიხედვით, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა ისე, როგორც საფეხურებით, უნდა დაშვებულიყო სულ უფროდაუფრო ძირს სახელმწიფო გახრწნის უფსკრულში. ჯერ კიდევ 27 აგვისტოს ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა კომუნიკემ და ლონდონის მთელმა პრესამ აღნიშნეს, რომ ჩეხოსლოვაკიის მთავრობის ეგრეთწოდებული „მესამე გეგმა", რომელიც ითვალისწინებდა ჩეხოსლოვაკიის დაყოფას 20-30 თვითმმართველ კანტონად, წარმოადგენს ჩეხოსლოვაკიის პრობლემის სავსებით დამაკმაყოფილებელ გადაჭრას და რომ ახლა უნდა მოვითხოვოთ დათმობები გერმანიის მხრიდანო. მერე რა? საკმარისი იყო ჰენლაინი წასულიყო ჰიტლერთან ბერხტესგადენში (ამასთან მეტად დამახასიათებელია: რენსიმენის რჩევით), საკმარისი იყო სუდეტის ლიდერებს ამის შემდეგ უარეყოთ „მესამე გეგმა" და ლონდონმა გაორკეცებული გულმოდგინებით მოახდინა ახალი ზეგავლენა პრაღაზე. ამ შემთხვევაში რენსიმენმა გადააჭარბა საკუთარ თავს და ამის შედეგად გამოჩნდა ჩეხოსლოვაკიის მთავრობის „მეოთხე გეგმა", რომელიც თითქმის მთლიანად აკმაყოფილებს ჰენლაინის კარლსბადის პროგრამის ცნობილ „8 პუნქტს", მაგრამ რომელიც ამასთან ერთად საფუძველს უყრის ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოებრივ გახრწნას.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს უკანასკნელი ზღვარია და რომ ამ ზღვარზე ლონდონი, ბოლოსდაბოლოს, იტყვის „შესდეგ". არავითარი ამისი მსგავსი! თუ ჰიტლერი კვლავ შეიჭმუხნის შუბლს, ლონდონი მზად იქნება ერთხელ კიდევ გაუწიოს მას სამსახური. ტყუილად კი არ აყენებდა „ტაიმსი" მოწინავეში ვითომდა შემთხვევით ასეთ კითხვას: უკეთესი ხომ არ იქნებოდა „ჩეხოსლოვაკიის უფრო კომპაქტურ და შინაგანად მთლიან სახელმწიფოდ გადაქცევის მიზნით", გადაისინჯოს მისი ახლანდელი საზღვრები და პირდაპირ მიეცეს გერმანიას სუდეტის ოლქი? ეს ჟურნალისტის შემთხვევით წამოსცდენი სიტყვა როდია. ეს არის საზოგადოებრივი აზრის აშკარად მომზადება შემდგომი გამცემლობისათვის ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მიმართ. „ტაიმსის" წინადადება გერმანიისათვის სუდეტის ოლქის მიცემის შესახებ ნაწილობრივ ჰხდის ფარდას ამ დოკუმენტს, რომელიც პატივცემული ლორდის მისიის წიაღში მზადდება. კი, მაგრამ თუ მაინც არ იქნა მიღწეული სუდეტის პრობლემის „მშვიდობიანი გზით მოგვარება"? თუ ჩეხოსლოვაკიის დემოკრატია, ლონდონისა და პარიზის ყოველგვარი „რჩევა-დარიგების" მიუხედავად, მაინც იტყვის განსაზღვრულ მომენტში: „აქამდე და მეტი არა"? თუ ლონდონის საქციელით წახალისებული ჰიტლერი, ბოლოსდაბოლოს, გადასწყვეტს გადავიდეს „პირდაპირ მოქმედებაზე"? მაშინ რაღა იქნება? როგორი იქნება ინგლისის კაბინეტის პოზიცია? ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა არავის არ შეუძლია. საიმონის მიერ 27 აგვისტოს წარმოთქმულმა სიტყვამ მხოლოდ განიმეორა ჩემბერლენის 24 მარტის დეკლარაცია. ჩემბერლენმა თავის დეკლარაციაში კეთილშობილური სენტენცია გამოსთქვა იმის შესახებ, რომ თანამედროვე ვითარებაში მსოფლიოს ერთ ნაწილში დაწყებულ ომს შეუძლია გავრცელდეს სხვა ნაწილებზედაც და თავის სისხლიან ნაკადში ჩაითრიოს მესამე სახელმწიფოები. ინგლისის მთავრობის „სიბრძნე" ამას იქით დაჟინებით არ მიდის, მიუხედავად იმისა, რომ სულ უფროდაუფრო ძლიერდება ზეგავლენა არა მარტო ოპოზიციის მხრივ, არამედ კონსერვატორთა უფრო შორსმჭვრეტელი წრეების მხრივაც, რომლებსაც ისეთი ადამიანები მეთაურობენ, როგორიც ჩერჩილი და იდენი არიან.

თუ ეს ზეგავლენა კიდევ უფრო არ გაძლიერდა, თუ საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა უახლოესი კვირეების განმავლობაში არ დაიბრუნებს იმ დამოუკიდებლობას, რომელიც მას ჯერ კიდევ ამ 3-4 წლის წინათ ჰქონდა, მაშინ ძნელი არ არის საბოლოო შედეგის წინასწარ განსჭვრეტა: ინგლისი ისევე გასცემს ჩეხოსლოვაკიას ჰიტლერის სასარგებლოდ, როგორც მან გასცა ესპანეთი მუსოლინის სასარგებლოდ. მაგრამ ეს ჯერ კიდევ უსათუოდ როდი იქნება ფაშიზმის ახალი გამარჯვება. ესპანეთის რესპუბლიკის გმირულმა წინააღმდეგობამ მთელი გეგმები აუბნია ინგლის-იტალიის შეთანხმების პარტნიორებს. შეიძლება იგივე განმეორდეს ცენტრალურ ევროპაშიც.

ამასთან ერთად საჭიროა აღინიშნოს, რომ ინგლისის ახლანდელი მმართველი წრეების პოლიტიკა სულ უფროდაუფრო აწყდება წინააღმდეგობას თვით ინგლისის შიგნით. პოლიტიკური დაძაბულობა ინგლისში, ცენტრალური ევროპის ამბებთან დაკავშირებით, აშკარად ძლიერდება. გასულ კვირეებში ინგლისის ფართო მასებმა უფრო ეფექტური სკოლა განვლეს პოლიტიკური აღზრდისა, ვიდრე წინანდელი რამდენიმე წლის განმავლობაში. და ეს თავის შედეგებს მოგვცემს.

ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის მიერ პარიზიდან მიღებული ცნობების მიხედვით)

აღმოსავლეთის ფრონტი

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია, რომ 11 სექტემბერს მეამბოხეებმა, მას შემდეგ, რაც მათი იერიშები რესპუბლიკელთა პოზიციებზე სიერა დე კაბალის რაიონში უშედეგო გამოდგა, თავისი ოპერაციები გადაიტანეს გაეტის რაიონში და ვილაბერის ხეობაში. უცხოელ ფაშისტთა არტილერიისა და ავიაციის ინტენსიური მოქმედების მიუხედავად, მაროკოს ქვეითა ჯარის იერიშები აქ რესპუბლიკელთა მტკიცე წინააღმდეგობას წააწყდნენ. გაათაფრებული ბრძოლის დროს კოლონიური ჯარისკაცები, რომლებიც მეამბოხეთა სამსახურში იმყოფებიან, რესპუბლიკელთა ინტენსიური ცეცხლის ზეგავლენით, უწესრიგოდ გარბოდნენ.

გუშინდელი ბრძოლის დროს ტყვედწამოყვანილნი ადასტურებენ ცნობებს, რომ არმიის ოფიცერთა შემადგენლობისა და ჯარისკაცთა სულიერი მდგომარეობა დაცემულია არმიის მიერ განცდილ დიდ დანაკლისთან დაკავშირებით. მეამბოხეთა ჯარის სარდლობის განკარგულებით, დაჭრილ ჯარისკაცებს მათი მკურნალობის ვადის დამთავრებამდე ჰოსპიტლებიდან ფრონტზე აბრუნებენ.

რესპუბლიკელთა ავიაციამ წარმატებით დაუშინა ყუმბარები მეამბოხეთა ჯარის ჯგუფებსა და მეამბოხეთა სამხედრო საწყობებს ფაბარის რაიონში.

სხვა ფრონტებზე მდგომარეობა უცვლელია.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პარტგანათლების სახლში

14 სექტემბერს

საკ. კ. პ. (ბ) **ისტორიის კაბინეტი** — ჯგუფური კონსულტაცია თემაზე: მენშევიკები და ბოლშევიკები სტოლიპინის რეაქციის პერიოდში და ბოლშევიკების ჩამოყალიბება დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიად (1908—1912 წ. წ.). ქართულ ენაზე. კონსულტანტი — ამხ. ვ. სიფრაშვილი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ლენინიზმის კაბინეტი — ლექცია თემაზე: პიროვნების როლის შესახებ ისტორიაში. ქართულ ენაზე. ლექტორი ამხ. ს. ლარცულიანი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

იმავე კაბინეტში — ლექცია თემაზე: ლენინიზმის მოძღვრება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის შესახებ. რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

○

14 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება აგიტსემინარის მეცადინეობა.

რაიკომთან გაერთიანებულ აგიტატორთა დასწრება სავალდებულოა.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი.

საქფილემგთის საზაფხულო თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პროსპ. 123, ტელ. 3-18-50
14—15—16 სექტემბერს მე-2 სერიის ტალონები №№ 6, 7, 8
მოსკოვის ესტრადის ოსტატთა გასტროლები
მონაწილეობენ: რინა ზელიონაია, რაფაელ კორფი (რესპ. დამსახ. არტ.), იაკობ რუდინი, ელენა კეტატი, არკადი პოგოდინი, ანა რედელი, მიხეილ ხრუსტალევი.
კონფერანსიე მიხ. გარკავი. საქფილემგთის ჯაზ-ორკესტრი ს. ბაბოვის ხელმძღვანელობით.
ბაღში ხმოვანი კინო. შესვლა ბაღის შესასვლელი ბილეთებით.

თბილისის ატს-ის აბონენტთა საყურადღებოდ
უახლოეს დღეებში გამოდის ახალი სატელეფონო ცნობარი
„თბილისის ატს-ის აბონენტთა სია".
ვინაიდან ცნობარის ტირაჟი განსაზღვრულია, „თბილისის ატს-ი" აწარმოებს მის განაწილებას საგეგმო—ცენტრალიზებული წესით და ამ მიზნით დაწესებულებებს, საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან იღებს წინასწარ განაცხადებს წიგნების მათთვის საჭირო რაოდენობაზე.
განაცხადები მიიღება რედაქციაში—რუსთაველის პროსპ. № 6, „თბილისის ატს", ოთახი № 1, აგრეთვე სპეც. რწმუნებულთა საშუალებით. 1317

რუსთაველის სახელობის
ლენინის ორდენოსანი
სახელმწიფო თეატრი
1938-39 წლის სეზონი

15/IX	წარმოდგენა 1 ნაპერწკლიდან
16/IX	წარმოდგენა 2 ნაპერწკლიდან
17/IX	სულელი

სალარო ღიაა დღის 12 ს. საღამოს 9 საათამდე. დასაწყისი 8 საათზე.

ექიმ ნ. გ. კანტოროვიჩის
თმის მკურნალობისა და კოსმეტიკის
კაბინეტი
ელბაქიძის დაღმართი, 21
მიიღება დილის 11—3 ს და საღამოს 6—8 ს.
მუწუკების, ფერისმჭამელას, ჭორფლის, ლაქების, კანის სიხმელის, თმის დაცვენის, თმის მკურნალობა. ხალების, მეჭეჭების, ნაჭრილობევების და პირისახისა და თავის კანის სხვა ნაკლთა გაქრობა 19194

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: სამდივნოსი 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61 სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40.
მუშრომელთა წერილების — 3—73—24; ბ.-მ.შ. ზორიბის—3—26—67; გამომცემლობის — 3—51—81; სტამბის დირექტორის—3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.
ამ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ვაჟის ქ. № 68.
მთავლიტის რწმუნებული ბ—1467.